

პ. დოჭვილი, თ. ხაჭაპურიძე

ამტომატიზებული
ელექტრონამძრავების
საფუძვლები

I ნაწილი

„ტექნიკური უნივერსიტეტი”

განხილულია როგორც მუდმივი, ისე ცვლადი დენის ელექტროამძრავების სტატიკური და დინამიკური რეჟიმები, მოყვანილია შესაბამისი მახასიათებლები. განსაზღვრულია ძირითადი ელემენტების გადამცემი ფუნქციები, გათვალისწინებულია შემაერთებელი ლილვების დრეპარატურული თვისებებიც.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაქულტეტის ელექტრული ამძრავების სპეციალობის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები:

ტექ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი თ. მჭედლიშვილი;
ტექ. მეცნ. პანდიდატი, სრული პროფესორი ე. ლონიაშვილი

ს ა რ ჩ ვ ა ზ ი

შესავალი	6
I თავი. ელექტროამძრავის მექანიკა	8
§1. წინაღობის და ინერციის მომენტების დაყვანა ძრავას დერძხე	8
§1.2. ამძრავის მოძრაობის განტოლებების შედგენა	14
§1.3. საწარმოო მექანიზმების კლასიფიკაცია	18
II თავი. ელექტროამძრავების მექანიკური მახასიათებლები	21
§2.1. მუდმივი დენის დამოუკიდებელი (პარალელური) აგზების ძრავას მექანიკური მახასიათებლები	21
§2.2. მუდმივი დენის დამოუკიდებელი (პარალელური) აგზების ძრავას ამუშავების წინაღობების გამოანგარიშება	25
§2.3. დამოუკიდებელი აგზების ძრავას სამუხრუჭო რეჟიმები	28
§2.4. მუდმივი დენის მიმდევრობითი აგზების ძრავას მექანიკური მახასიათებლები	34
§2.5. მიმდევრობითი აგზების ძრავას ამუშავების წინაღობების გამოანგარიშება	36
§2.6. მიმდევრობით აგზებიანი ძრავას მახასიათებლები სამუხრუჭო რეჟიმებში	37
§2.7. შერეული აგზების ძრავას მექანიკური მახასიათებლები	40
§2.8. ცვლადი დენის სამფაზიანი ასინქრონული ძრავების მექანიკური მახასიათებლები	41
§2.9. სამფაზა ასინქრონული ელექტროამძრავას ამუშავების წინაღობების გამოანგარიშება	46

§2.10. სამფაზიანი ასინქრონული ძრავას სამუხრუჭო რეჟიმები	47
§2.11. სინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები	50
III თავი. ელექტროძრავების სიჩარის რეგულირება...	53
§3.1. ზოგადი განმარტებები ელექტროძრავების სიჩარის რეგულირების შესახებ	53
§3.2. მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ძრავას სიჩარის რეგულირების ხერხები	58
§3.3. სამფაზიანი ასინქრონული ძრავას სიჩარის რეგულირების ხერხები	63
IV თავი. გარდამავალი პროცესები ელექტროძრავები	70
§4.1. ზოგადი მიმოხილვა	70
§4.2. მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ძრავას ამუშავების გარდამავალი პროცესი	71
§4.3. მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ძრავას საფუსურებრივი ამუშავების გარდამავალი პროცესი	74
§4.4. მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ძრავას გარდამავალი პროცესი სამუხრუჭო რეჟიმებში	76
§4.5. მუდმივი დენის მიმდევრობითი აგზების ძრავას გარდამავალი პროცესები საფეხურებრივი ამუშავებისას	78
§4.6. მიმდევრობითი აგზების ძრავას გარდამავალი პროცესები უკუჩართვით დამუხრუჭებების რეჟიმში	81
§4.7 სამფაზიანი ასინქრონული ძრავას გარდამავალი რეჟიმები	81
ლიტერატურა	85

შმსავალი

თანამედროვე ავტომატიზებული ელექტროამძრავებით ხორციელდება რთული ტექნოლოგიური მანქანებისა და ცალკეული მექანიზმების მართვა. იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ წაყვნებული სიზუსტის, სარეგულირო დიაპაზონისა და დინამიკური სწრაფებულების თვალსაზრისით ელექტროამძრავის მართვის სისტემა შეიძლება შესრულებულ იქნას გახსნილწრედიანი (რელე-კონტაქტორებიანი) ან შეკრულწრედიანი (უკუკავშირებიანი) პრინციპით. პრაქტიკაში ისეთი ტექნოლოგიური მანქანების ამძრავებად, რომელთაც ესაჭიროებათ დიდ დიაპაზონში სიჩქარის მდოვრე რეგულირება, უმთავრესად გამოიყენება ტირისტორული გამმართველიანი მუდმივი დენის ელექტროამძრავები. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბოლო წლებში, ზოგიერთი ელექტრობენიკური ფირმა ამ მხრივ უპირატესობას ანიჭებს ცვლადი დენის სამუშაოან ასინქრონულძრავიან ელექტროამძრავს, რომელიც კვებას იდებს ნახევარგამტარული სისშირული გარდამქმნელიდან. ეს გამართლებულია იმით, რომ ასინქრონულ ძრავას სარეგონტო ხარჯები თითქმის არ გააჩნიათ, მაშინ როცა მუდმივი დენის ძრავებს ექსპლოატაციის პერიოდში ესაჭიროებათ ხშირი რემონტი კოლექტორისა და მუსების დაზიანების გამო, თუმცა არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ სისშირისგარდამქმნელიანი ასინქრონული ელექტროამძრავის ნაკლოვანებაც, კერძოდ, ასინქრონული ძრავას მკვებავი სისშირის გარდამქმნელის სქემა გაცილებით რთულია და მართვის სისტემის ელემენტებიც მას-

ში უფრო მრავლადა გამოყენებული, რაც პირდაპირ კავშირ-შია დანადგარის მუშაობის საიმედოობის შემცირებასთან.

რეგულირებადი ელექტროამძრავის მართვის სისტემის შემ-დგომი განვითარების ტენდენცია ითხოვს მუშაობის სიზუს-ტის და სწრაფქმედების განუწყვეტელ ზრდას. ამ მაჩვენებ-ლების გასაუმჯობესებლად მთავარ ხელშემშლელ ფაქტორე-ბად ითვლება შემშფოთი სიგნალების ცვლილების მაკომპენ-სირებელი მოწყობილობების რეალიზების სირთულე და ამბ-რავთა ტრანსმისიებში არსებული დრეპადი ელემენტები (გრ-ძელი ლილვები), რაც ხშირად გამოწვეულია მანქანის ტექ-ნილოგიური ან კონსტრუქციული თავისებურებებით. ელექტ-როამძრავთა დრეპადი ელემენტების ბოლოებში განთავსებუ-ლი ინერციული მასები დინამიკურ რეჟიმში მოდიან ძლიერ რხევით (გრესით) მოძრაობაში, რასაც რეალობათა გაუთ-ვალისწინებლობის შემთხვევაში შეუძლია გამოიწვიოს დანად-გარის მწყობრიდან გამოსვლა ვადაზე ადრე. ხშირად ამავე მიზეზითაა შეზღუდული ელექტროამძრავის დინამიკური სწ-რაფმოქმედების გაზრდის შესაძლებლობაც.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით წიგნში ძირითადად განხილულია ყველა ის მთავარი საკითხი, რომლე-ბიც აუცილებელია თანამედროვე ავტომატიზებული ელექტრო-ამძრავების შესასწავლად.

I თავი. ელექტროამძრავების მექანიკა

§1.1. წინაღობის და ინერციის მომენტების დაყვანა ძრავას დერძზე

ელექტროამძრავი წარმოადგენს ელექტრომექანიკურ სისტე-
მას, რომელიც შედგება ელექტრული ძრავასაგან, მოძრაობის
გადამცემი მოწყობილობისაგან და მექანიზმის მოძრავი ნაწი-
ლისაგან. იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიეწოდება მექანიკური
ენერგია ძრავადან მექანიზმის მუშა ლილვს, არსებობს სამი
ძირითადი ტიპის ამძრავი— ჯგუფური, ინდივიდუალური და მრა-
ვალძრავიანი. ჯგუფურ ამძრავში ერთი ძრავათი მოძრაობაში
მოდის რამდენიმე მუშა ლილვი. ინდივიდუალურ ამძრავში მუშა
მანქანის ყოველ ლილვს ემსახურება დამოუკიდებელი ელექტ-
როძრავა. მრავალძრავიან ამძრავში ერთ მუშა ლილვს ემსახუ-
რება ორი ან მეტი ძრავა. მრავალძრავიან ელექტროამძრავად
განიხილება მსხვილი ტექნოლოგიური მანქანის ელექტროამ-
ძრავიც, როცა მის ცალკეულ სექციებს აქვს ინდივიდუალური
ამძრავები, მაგრამ მართვის სისტემა საერთო აქვთ.

ელექტროძრავას ბრუნვითი მოძრაობისაგან შესაძლებელია,
მოძრაობის შედარებით მარტივი გადამცემი მოწყობოლობების
(მაგ., კბილანა რედუქტორების ან დვედური გადაცემების) გამო-
ყენებით, მივიღოთ სხვა სიდიდის ბრუნვითი მოძრაობა ან დო-
ლზე დახვეული ბაგირით გადატანითი (წრფივი) მოძრაობა. არ-
სებობს უფრო რთული ტიპის მექანიკური გადაცემებიც მაგ.,
ჭიახრახნული, მრუდმხარა-ბარბაცა და სხვ.

მოძრაობის გადამცემ მექანიკურ მოწყობილობას ახასიათებს შემდეგი სიდიდეები: გადაცემის რიცხვი (რედუქტორებსა და დვედურში) – i ; ინერციის მომენტი – J ან მასა m ; შემართებელი ლილვების სიხისტის კოეფიციენტები $-C_{ij}$; მ ქ კოფიციენტი ხახუნით გამოწვეული დანაკარგების გამო; ლუფტები (საჰაერო დრეჭოები) კინემატიკურ წყვილებში, მაგ., რედუქტორის კბილანებში, ლილვების შემაერთებელ ქუროებში და სხვ.

როგორც მუშა მანქანებს, ისე მათ ამძრავებს (ძრავას, მექანიკურ გადამცემ მოწყობილობას და მექანიზმის მუშა ლილვებს) საერთოდ მუშაობა უხდებათ ორ ძირითად რეჟიმში სტატიკურსა (დამყარებულ რეჟიმში) და დინამიკურში (გარდამავალ რეჟიმში). სტატიკურ რეჟიმში ამძრავს უწევს მექანიზმის წინაღობის სტატიკური მომენტის დაძლევა, ხოლო დინამიკურში ამძრავმა უნდა დასხმიოს როგორც სტატიკური წინაღობის ძალები, ისე დინამიკური ანუ ინერციის ძალები.

მექანიზმის წინაღობის, ე.წ. სტატიკური მომენტის ძრავას დერძხე დასაყვანად უნდა გამოვიყენოთ სიმძლავრეთა ბალანსის შემდეგი ფორმულა:

$$P_{\text{სტ}} = P_{\text{ძალ}} / \eta, \quad (1.1)$$

სადაც $P_{\text{სტ}}$ არის ძრავას დერძხე წინაღობის სიმძლავრე; $P_{\text{ძალ}}$ – მექანიზმის სიმძლავრე, რომელსაც იგი განავითარებს მუშა ოპერაციის შესრულებისას; η – მოძრაობის გადამცემი მოწყობილობის მ ქ კოეფიციენტი.

ბრუნვითი მექანიზმებისათვის ცნობილია, რომ სიმძლავრე

$$P = M \cdot \omega, \quad (1.2)$$

სადაც M ბრუნვის მომენტია; ω – ბრუნვის კუთხური სიჩქარე.

$$(1.2)-ის თანამახმად მექანიზმის სიმძლავრე $P_{\text{აღ}} = M_{\text{აღ}} \cdot \omega_{\text{აღ}}$$$

და მისი მნიშვნელობა ძრავას დერძზე $P_{\text{აღ}} = M_{\text{აღ}} \cdot \omega_{\text{აღ}}$, ამიტომ

(1.1)-ე შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$M_{\text{აღ}} \omega_{\text{აღ}} = M_{\text{აღ}} \cdot \omega_{\text{აღ}} / \eta. \quad (1.3)$$

(1.3)-დან ადგილად განისაზღვრება ძრავას დერძზე დაყვანილი წინაღობის სტატიკური მომენტი

$$M_{\text{აღ}} = M_{\text{აღ}} / i \cdot \eta, \quad (1.4)$$

$$\text{სადაც } i \text{ რედუქტორის გადაცემის რიცხვია} \left(i = \frac{\omega_{\text{აღ}}}{\omega_{\text{აღ}}} \right).$$

ორსაფეხურიანი რედუქტორის შემთხვევაში

$$M_{\text{აღ}} = M_{\text{აღ}} / i_1 \cdot i_2 \cdot \eta_1 \cdot \eta_2. \quad (1.5)$$

თუ მექანიზმი ასრულებს გადატანით (წრფივ) მოძრაობას, მაშინ

$$M_{\text{აღ}} = F_{\text{აღ}} \cdot V_{\text{აღ}} / \omega_j \cdot \eta, \quad (1.6)$$

სადაც $F_{\text{აღ}}$ მექანიზმის ძალაა, რომელიც საჭიროა მუშაობის შესასრულებლად; $V_{\text{აღ}}$ – მექანიზმის წრფივი სიჩქარე.

განქანისა და ამძრავის მოძრავი ნაწილების ინერციული მასებისა და ინერციის მომენტები ძრავას დერძზე დაიყვანება კინეტიკურ ენერგიათა ბალანსით:

$$J_{\text{აღ}} \cdot \frac{\omega_{\text{აღ}}^2}{2} = J_{\text{აღ}} \frac{\omega_{\text{აღ}}^2}{2} + \sum_{q=1}^n J_q \frac{\omega_q^2}{2} + \sum_{l=1}^v m_l \frac{v_l^2}{2}, \quad (1.7)$$

სადაც $J_{\text{ქქ}}$ არის ამძრავის მთელი მექანიკური სისტემის ექვივალენტური (ჯამური) დაყვანილი ინერციის მომენტი; J_d – ძრავს მოძრავი ნაწილის (ღუზის ან როტორის) ინერციის მომენტი, $\text{კგ}\cdot\text{მ}^2$; J_q – სისტემის q -ური რგოლის ინერციის მომენტი, $\text{მგ}\cdot\text{მ}^2$; ω_q – ცალკეული ჭური რგოლის კუთხური სიჩქარე; m_l – წრფივად მოძრავი l -ური რგოლის მასა, V_l – შესაბამისი რგოლის წრფივი სიჩქარე.

(1.7)-დან ადგილად ვიპოვთ ამძრავის დერძხე დაყვანილ ჯამურ ინერციის მომენტს:

$$J_{\text{ქქ}} = J_d + \sum J_q / i^2 q + \sum_{l=1}^v m_l \frac{v_l^2}{\omega_d^2}. \quad (1.8)$$

ელექტროძრავების კატალოგებში ზოგჯერ ინერციის მომენტის (J) ნაცვლად მოცემულია მქნევარა მომენტის (GD^2) მნიშვნელობა. მათ შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება

$$J = GD^2 / 4, \quad [\text{კგ}\cdot\text{მ}^2] \quad (1.9)$$

მქნევარა მომენტის განზომილებაა \sqrt{J} ($\text{ანუ } \sqrt{GD^2}$).

ჩვეულებრივ, ამძრავის მბრუნავ დეტალებს აქვს დიდი რაოდენობის შვერელის მქონე ცილინდრის ფორმა. ჯამური ინერციის მომენტის (J) საანგარიშოდ ასეთ დეტალს პირობითად დაყოფენ მუდმივი დიამეტრის მქონე ნაწილებად. დეტალის ცალკეული ნაწილის J -ს განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულით:

$$J = \frac{\Pi \gamma \cdot l \cdot d^4}{32g}, \quad [\text{კგ}\cdot\text{მ}^2] \quad (1.10)$$

სადაც γ დეტალის მასალის კუთრი წონაა, g/b^3 (ფოლა-დისათვის $\gamma = 7,8 \cdot 10^{-3}$ g/b^3 ; ოუჯისათვის $\gamma = 7,1 \cdot 10^{-3}$ g/b^3); l და d – მბრუნავი სხეულის სიგრძე და დიამეტრი, სმ; g – სიმძიმის ძალით გამოწვეული აჩქარება, $g/\sqrt{b^2}$.

ინერციის მომენტის ზემოთ მოყვანილი განზომილებიდან უფრო ხშირად გამოყენებულ განზომილებაზე გადასასვლელად უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1ქბ არის ის ძალა, რომელიც 1 კგ მასის მქონე სხეულს მიანიჭებს $9,8 \text{ m}/\sqrt{\text{b}^2}$ აჩქარებას.

ზემოთ მოყვანილი ფორმულების გარდა ზოგჯერ გამოთვლებში გამოიყენება შემდეგი ფორმულებიც:

$$J = m\rho^2, \quad (1.11)$$

სადაც ρ არის დაყვანილი ინერციის რადიუსი.

ცნობილია, რომ ცილინდრული სხეულისათვის

$$\rho^2 = R^2/2, \quad (1.12)$$

ხოლო ღრუ ცილინდრული სხეულისათვის

$$\rho^2 = \frac{R^2 + r^2}{2}. \quad (1.13)$$

შესაბამისად ინერციის მომენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$J = \frac{\Pi l \cdot R^4 \cdot \gamma}{2g}; \quad (1.14)$$

$$J = \frac{\Pi l (R^4 - r^4) \gamma}{2g}. \quad (1.15)$$

ისე, როგორც ინერციული მასები, შემაერთებელი ლილ-ვების სიხისტის კოეფიციენტებიც საჭიროა დაყვანილ იქნას ძრავას დერძზე. დაყვანა ხორციელდება პოტენციურ ენერგიათა ბალანსის საფუძველზე.

ცილინდრული ლილვის სიხისტის კოეფიციენტი იანგარი-შება შემდეგი ფორმულით:

$$c = \frac{\pi \sigma D^4}{32l}, \quad (1.16)$$

სადაც σ დრეკადობის მოდულია, რომელიც დამოკიდებულია ლილვის მასალაზე; D – ლილვის დიამეტრი, l – სიგრძე.

ღრუ ცილინდრული ლილვისათვის სიხისტის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$c = \frac{\pi \sigma D^4}{32l} \left[1 - \left(\frac{d}{D} \right)^4 \right], \quad (1.17)$$

სადაც d ლილვის შიგა დიამეტრია; D – გარე დიამეტრი.

ზოგჯერ მანქანის ლილვები შეერთებულია მიმდევრობით, პარალელურად ან მათი კომბინაციით. ამ შემთხვევაში სიხისტის კოეფიციენტებს განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულებით:
მიმდევრობითი შეერთებისას

$$c = \frac{c_1 \cdot c_2}{c_1 + c_2}. \quad (1.18)$$

პარალელური შეერთებისას

$$c = c_1 + c_2. \quad (1.19)$$

სიხისტის კოეფიციენტი ძრავას დერძზე დაიყვანება შემდეგი ფორმულით:

$$c_{\text{და}} = c_{12} / i^2, \quad (1.20)$$

სადაც i რეზუქტორის გადაცემის რიცხვია.

დრეკადრგოლებიანი სწრაფმოქმედი მექანიკური სისტემის მშრუავი ნაწილები დინამიკურ რეჟიმში განიცდიან ძლიერ გრეხით რხევებს, რომლებიც მიღევადია, ვინაიდან სისტემაში ადგილი აქვს ენერგიის გაფანტვას. ენერგია იხარჯება მექანიკური ლილვების შინაგანი ბლანტი ხახუნის ძალების (თუმცა ისინი შედარებით მცირეა) და ელექტრული ძრავას მაღემ-პფერიორებელი მოქმედების დაძლევაზე.

გრეხითი რხევების ჩაქრობის კოეფიციენტის განსაზღვრა თეორიულად შეუძლებელია, ამიტომ იყენებენ შემდეგ ემპირიულ ფორმულას:

$$b = \frac{\psi}{\pi} \sqrt{c_{12} \cdot \frac{J_1 \cdot J_2}{J_1 + J_2}}, \quad (1.21)$$

სადაც $\psi = 0,1 \div 0,5$ კოეფიციენტს ადგენერ ექსპერიმენტით.

მას შემდეგ, რაც გვეცოდინება ამძრავის მექანიკური სისტემის საანგარიშო სქემის ძირითადი პარამეტრები ინერციის მასები, სიხისტის კოეფიციენტები და ა.შ. შევადგენთ მექანიკური სისტემის შენაცვლების სქემას.

§1.2. ამძრავის მოძრაობის განტოლებების შედგენა

ცნობილია ამძრავის მოძრაობის განტოლების შედგენის ორი მეთოდი – დალამბერის და ლაგრანჟეს.

დალამბერის მეთოდი დაუუძნებულია შემდეგ ძირითად პირობაზე: სისტემის მოძრაობისას დროის ნებისმიერ მომენტში

მასების ინერციის ძალების, გარე ძალებისა და კინემატიკურ წყვილებში წარმოქმნილი რეაქციის ძალების ჯამი უნდა იყოს ნულის ტოლი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი სისტემა უნდა იყოს დინამიკურად გაწონასწორებული.

თუ ამძრავი ხისტლილვიანია (არ აქვს გრძელი შემაერთებელი ლილვი), მოძრაობის განტოლება შემდეგნაირად გამოისახება:

$$M - M_{\text{სტ}} = M_{\text{დინ}}, \quad (1.22)$$

სადაც M არის ძრავას მიერ განვითარებული ბრუნვის მომენტი; $M_{\text{სტ}}$ – წინაღობის (სტატიკური) დაყვანილი მომენტი მექანიზმის მხრიდან; $M_{\text{დინ}}$ – ამძრავის დინამიკური მომენტი, რომელიც ახასიათებს ხისტემის კინეტიკური ენერგიის ცვლილებას.

$M_{\text{დინ}}$ -ის განსაზღვრის მიზნით (1.22)-ის ანალოგიურად ჩავწეროთ სიმძლავრეთა ბალანსის ფორმულა

$$P - P_{\text{სტ}} = P_{\text{დინ}}, \quad (1.23)$$

თეორიული მექანიკის კურსიდან ვიცით, რომ

$$P_{\text{დინ}} = \frac{dJ \frac{\omega^2}{2}}{dt} = J \omega \frac{d\omega}{dt} + \frac{\omega^2}{2} \frac{dJ}{dt}. \quad (1.24)$$

(1.24)-ის გაყოფით ω -ზე მივიღებთ დალამბერის პრინციპით ჩაწერილ ამძრავის მოძრაობის განტოლებას

$$M - M_{\text{სტ}} = J \frac{d\omega}{dt} + \frac{\omega}{2} \frac{dJ}{dt}. \quad (1.25)$$

თუ ამძრავის ინერციის მომენტი $J = \text{const}$, მაშინ (1.25)-ის ფორმულა გამარტივდება და გვექნება

$$M - M_{\text{სტ}} = J \frac{d\omega}{dt}. \quad (1.26)$$

(1.26)-ის თანახმად, თუ $M > M_{\text{ნ}} \quad \text{ე. გ.} \quad M_{\text{ლ}} > 0$, მაშინ
ადგილი ექნება ამძრავის აჩქარებას. თუ $M_{\text{ლ}} < 0$, მაშინ
ადგილი ექნება ამძრავის შენელებას. თუ $M = M_{\text{ნ}}$ (ე. გ. ი.
 $M_{\text{ლ}} = 0$), მაშინ ამძრავი მუშაობს $\omega = \text{const}$ მუდმივი
სიჩქარით (ან ამძრავი გაჩერებულია), ასეთ რეჟიმს უწოდებენ
დამყარებულს.

დრეკადრგოლიანი ურთმრავიანი ამძრავის მოძრაობის გან-
ტოლებებია:

$$\begin{cases} M - M_{\text{ლ}} = J_1 \frac{d\omega_1}{dt}; \\ M_{\text{ლ}} - M_{\text{ნ}} = J_2 \frac{d\omega_2}{dt}; \\ M_{\text{ლ}} = c_{12}(\varphi_1 - \varphi_2) + b(\omega_1 - \omega_2). \end{cases} \quad (1.27)$$

სადაც φ_1 და φ_2 შესაბამისად ინერციული მასების მობრუ-

$$\text{ნების კუთხეებია } \left(\omega_1 = \frac{d\varphi_1}{dt}; \omega_2 = \frac{d\varphi_2}{dt} \right).$$

საერთო მექანიზმები მომუშავე ორძრავიანი დრეკადრგო-
ლებიანი ამძრავისათვის დალამბერის პრინციპით შედგენილი
მოძრაობის განტოლებები შემდეგი სახისაა:

$$\begin{cases} M_1 - M_{\varphi_1} = J_1 \frac{d\omega_1}{dt}; \\ M_2 - M_{\varphi_2} = J_2 \frac{d\omega_2}{dt}; \\ M_{\varphi_1} + M_{\varphi_2} - M_{\omega} = J_3 \frac{d\omega_3}{dt}; \\ M_{\varphi_1} = C_{12}(\varphi_1 - \varphi_3) + b_1(\omega_1 - \omega_3); \\ M_{\varphi_2} = C_{23}(\varphi_2 - \varphi_3) + b_2(\omega_2 - \omega_3). \end{cases} \quad (1.28)$$

(1.27)- და (1.28)- განტოლებები მართებულია პუკის კანონის მოქმედების ფარგლებში, ე.ი. შედარებით მცირე დეფორმაციის ფარგლებში (დიდი დეფორმაციის პირობებში მოსალოდნელია ლილვის პლასტიკური-ნარჩენი დეფორმაცია, ამ დროს პუკის კანონი პროცესის გასაანალიზებლად საკმარისი არ არის).

ლაგრანჟეს მეთოდი. ეს მეთოდი ითვლება ენერგეტიკულ მეთოდად და ეფუძნება მექანიკური სისტემის განზოგადებული კოორდინატების და ძალების ცნებებს. ამ მეთოდის გამოყენებისას კოორდინატების რიცხვი ტოლია სისტემის თავისუფლების ხარისხის. განზოგადებულ პარამეტრებად შეიძლება მიზოღოთ მობრუნების კუთხეები, მათი სხვაობები და ა.შ.

ამძრავის მოძრაობის განტოლების შედგენა ლაგრანჟეს მეთოდით ხდება ლაგრანჟეს II გვარის განტოლების საფუძველზე

$$\frac{d}{dt} \sum_{i=1}^N \left(\frac{\partial T}{\partial \dot{q}_i} \right) - \sum_{i=1}^N \frac{\partial T}{\partial q_i} + \sum_{i=1}^N \frac{\partial \Pi}{\partial q_i} + \sum_{i=1}^N \frac{\partial \Phi}{\partial \dot{q}_i} = Q_i, \quad (1.29)$$

სადაც T და Π სისტემის კინეტიკური და პოტენციური ენერგიებია, Φ — გაფანტვის ფუნქცია, Q_i — განზოგადებული ძალა, რომელიც იწვევს i -ური განზოგადებული კოორდინატის (q_i) ცვლილებას. უნდა აღინიშნოს, რომ T და Φ ფუნქციები განზოგადებული სიჩქარეების კვადრატული ფუნქციებია, ხოლო Π -განზოგადებული კოორდინატების კვადრატული ფუნქციები; N — თავისუფლების ხარისხი.

მაგალითად, კინეტიკური ენერგია შეიძლება ასე გამოისახოს

$$T = \left(J_1 \dot{\phi}_1^2 + J_2 \dot{\phi}_2^2 + J_3 \dot{\phi}_3^2 \right) / 2, \quad (1.30)$$

პოტენციური ენერგია კი ასევ:

$$\Pi = \left[C_{12} (\varphi_1 - \varphi_2)^2 + C_{23} (\varphi_2 - \varphi_3)^2 \right] / 2 . \quad (1.31)$$

ენერგიის გაფანტვის ფუნქცია

$$\Phi = \left[b_1 (\dot{\varphi}_1 - \dot{\varphi}_2)^2 + b_2 (\dot{\varphi}_2 - \dot{\varphi}_3)^2 \right] / 2 . \quad (1.32)$$

ამძრავის შემთხვევაში, (1.29)-ში: $Q_1 = M$; $Q_2 = M_{\text{სტ}}$.

ამის შემდეგ ვიპოვთ კერძო წარმოებულებას და ჩავწერთ მოძრაობის განტოლებებს. მოძრაობის განტოლებები გამოიყენება ამძრავთა სისტემების გარდამავალი რეჟიმების (დინამიკური პროცესების) შესწავლისას.

§1.3. საწარმოო მექანიზმების კლასიფიკაცია

ამძრავის რაციონალური მუშაობისათვის აუცილებელია მექანიზმის $\omega = f(M)$ მექანიკური მახასიათებლის გათვალისწინება. სხვადასხვა მექანიზმს სხვადასხვა მექანიკური მახასიათებელი

აქვს. მათი კლასიფიკაციისათვის იყენებენ შემდეგ ემპირიულ ფორმულას:

$$M_{\text{b}\beta} = M_{\text{b}\beta 0} - \left(M_{\text{b}\beta \cdot \text{ნო}} - M_{\text{b}\beta 0} \right) \cdot \left(\frac{\omega}{\omega_{\text{ნო}}} \right)^x, \quad (1.33)$$

სადაც $M_{\text{b}\beta 0}$ არის მექანიზმის წინაღობის მომენტი უქმი სვლისას; $M_{\text{b}\beta \cdot \text{ნო}}$ – ნომინალური დატვირთვის მომენტი; x – კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას $M_{\text{b}\beta}$ -სა და ω -ს შორის.

მექანიზმების კლასიფიკაცია ხდება x -ის მიხედვით, შემდეგ-ნაირად:

1) თუ $x=0$, მაშინ $M_{\text{b}\beta} = M_{\text{b}\beta \cdot \text{ნო}} = \text{const}$. ასეთი დატვირთვის მქონე მექანიზმებს უწოდებენ მუდმივსტატიკურმომენტიანს. მათ რიცხვში შედის მაგ., ამწევბი, კონვეირები, ლითონმჭრელ ჩარხზე მიწოდების მექანიზმები, ქაღალდის დამამზადებელი მანქანების საშრობი და საწევები სექციები, აგრეთვე მეტალურგიული საგლინი დგანები და სხვ.

2) თუ $x=1$, მაშინ $M_{\text{b}\beta} - \text{სა } \omega - \text{ს შორის არის წრფივი (პირდაპირპორციული) დამოკიდებულება. ასეთი მახასიათებელი აქვს ამძრავს, რომელიც ამჟღავებს გენერატორს (ლაბორატორიაში).$

3) თუ $x=-1$, მაშინ $M_{\text{b}\beta} - \text{სა } \omega - \text{ს შორის არის პირბოლური (უკუპროპორციული) დამოკიდებულება. ასეთი მახასიათებლის მქონე მექანიზმები მუშაობენ მუდმივი სტატიკური სიმძლავრით, $P_{\text{b}\beta} = \text{const}$. ასეთი მახასიათებელი აქვს ლითონმჭრელ ჩარხებზე შპინდელის მექანიზმებს, ქაღალდის ან ძაფის დამხვევ მექანიზმებს და სხვ.$

4) ოუ $x=2$, მაშინ $M_{b\beta} = f(\omega^2)$. ასეთი მახასიათებელი აქვთ ვენტილატორებს, ტუმბოებს და კომპრესორებს. ამ ტიპის მახასიათებლის მქონე მექანიზმებს უწოდებენ ვენტილატორებს.


შენიშვნა: როცა $P_{b\beta} = const$, განიხილება ორი შემთხვევა:

- 1) მექანიზმები, რომელთაც აქვთ სიმძიმის ძალით გამოწვეული აქტიური წინაღობის მომენტი. მისი ნიშანი დამოკიდებული არ არის მოძრაობის მიმართულებაზე; 2) მექანიზმები, რომელთაც აქვთ ხახუნის ძალით გამოწვეული რეაქტიული წინაღობის მომენტი და მისი ნიშანი იცვლება მოძრაობის მიმართულების შეცვლასთან ერთად. ხოლო, როცა მოძრაობა შეჩერებულია $M_{b\beta}=0$.

II თავი. ელექტრომარავების მექანიკური გახასიათებლები

§2.1. მუდმივი დენის დამოუკიდებელი (პარალელური) აგზების ძრავას მექანიკური მახასიათებლები

ამ ტიპის ძრავას ელექტრული ჩართვის სქემა წარმოდგენილია პირველ სურათზე, რომელზედაც და კვ ძრავას დამატებითი პოლუსების და ღუზის რეაქციის საკომპენსაციო გრაგნილებია გამოსახული.



სურ.1

მანამ, სანამ განვიხილავთ უშუალოდ ძრავას მექანიკურ მახასიათებლებს სიჩქარის მოკლედ ავსენათ მისი ქსელთან მიერთების პროცესი. ძრავას აგზების გრაგნილს წინასწარ ან ღუზის გრაგნილთან ერთად უნდა მივაწოდოთ ძაბვა. აგზების გრაგნილში დენის გავლით მანქანაში შეიქმნება უძრავი მაგნიტური ველი. ხოლო მას შემდეგ, რაც ღუზის გრაგნილში გაივლის დენი, მისი ურთიერთქმედებით ძრავაში არსებულ მაგნიტურ გალთან დერბზე შეიქმნება ბრუნვის მომენტი. ძრავა დაიწყებს მუშაობას აჩქარებულად და მისი სიჩქარე დამ-

ყარღება იქ, სადაც ძრავას ძრუნვის მომენტი გაუტოლდება დერმზე მოდებულ დატვირთვის მომენტს. ქსელთან ჩართვის ეს პროცედურა საკმარისია მცირე სიმძლავრის ძრავებისათვის. რაც შეეხება საშუალო და დიდი სიმძლავრის ძრავებს, მათი ქსელთან მიერთება, როგორც წესი, ხორციელდება ღუზის გრაგნილთან მიმდევრობით ჩართული დამატებითი წინაღობით. მის გარეშე ძრავაში (ღუზაში) მოსალოდნელია გაიაროს ნომინალურზე 10-ჯერ და უფრო მეტი სიღიდის ამუშავების (ე.წ. მოკლე ჩართვის) დენმა ღუზის გრაგნილის აქტიური წინაღობის სიმცირის გამო. მას შეუძლია გამოიწვიოს ძრავას სერიოზული დაზიანება (დაწვა).

განსახილველი ძრავას მექანიკური მახასიათებლის $\omega \neq M$ ფორმულის მისაღებად საჭიროა ჩავწეროთ ძაბვების წონასწორობის განტოლება ღუზის წრედისათვის

$$U = E + (R_{\varrho} + R_{\varrho\vartheta})I_{\varrho}, \quad (2.1)$$

სადაც I_{ϱ} არის ძრავას ღუზის დენი; R_{ϱ} და $R_{\varrho\vartheta}$ – ღუზის გრაგნილის და მის წრედში ჩართული დამატებითი აქტიური წინაღობები; E –ღუზაში ინდუქცირებული ე მ ძალაა, რომელიც თავის მხრივ, ტოლია

$$E = K_{\vartheta} \cdot \Phi \cdot \omega. \quad (2.2)$$

თუ ძრავას მაგნიტური ნაკადი $\Phi = const$, მაშინ

$$E = c\omega, \quad (2.3)$$

სადაც:

$$c = K_{\vartheta} \cdot \Phi.$$

$K_d = \frac{PN}{2\pi a}$ არის ძრავას კონსტრუქციული მუდმივა; P – წყვილ პოლუსთა რიცხვი; N – ღუზის გრაგნილის აქტიურ გამტართა რიცხვი; a – ღუზის გრაგნილის პარალელურ შტოთა რიცხვი. ოუ (2.2)-ს შევიტან (2.1)-ში და ამოვხსნით ω -ს მიმართ მივიღებთ ძრავას სიჩქარული მახასიათებლის $\omega = f(I_{\varphi})$ ფორმულას

$$\omega = \frac{U}{K_d \cdot \Phi} - \frac{R_{\varphi\varphi}}{K_d \cdot \Phi} \cdot I_{\varphi}, \quad (2.4)$$

სადაც $\omega_0 = \frac{U}{K_d \cdot \Phi}$ არის ძრავას უქმი სელის იდეალური სიჩქარე; $R_{\varphi\varphi} = R_{\varphi\varphi} + R_{\varphi\varphi} - d\varphi$ ძრავას ღუზის წრედის სრული წინაღობა. (2.4)-ში მეორე მდგენელი წარმოადგენს ძრავას სიჩქარის გარღნას დატვირთვის შესაბამის სიდიდემდე.


ცნობილია, რომ ძრავას ბრუნვის მომენტი

$$M = K_d \Phi I_{\varphi} = c_d \cdot I_{\varphi}. \quad (2.5)$$

მისი შეტანით (2.4)-ში მივიღებთ ძრავას მექანიკური მახასიათებლის ფორმულას

$$\omega = \frac{U}{c_d} - \frac{R_{\varphi\varphi} \cdot M}{c_d^2}. \quad (2.6)$$

(2.6)-ის თანახმად ძრავას მექანიკური მახასიათებლი $\omega = f(M)$ წარმოადგენს წრფეს, რომლის დახრილობას განსაზღვრავს მისი ღუზის გრაგნილის $R_{\varphi\varphi}$ -ის სიდიდე. (2.6)-ის შესაბამისი მახასიათებლები მოცემულია მე-2 სურათზე.



სურ. 2

მექანიკური მახასიათებელი, რომელიც მიიღება ძრავას წრედში დამატებითი წინაღობის ჩართვის გარეშე, ცნობილია ბუნებრივი მექანიკური მახასიათებლის სახელწოდებით. როცა $R_{\text{და}} \neq 0$, მაშინ მივიღებთ ე.წ. ხელოვნურ მახასიათებელს.

ძრავას ბუნებრივი სიჩქარული მახასიათებლის აგება ხდება მისი საპასპორტო მონაცემების $(U_{\text{ნომ}}, I_{\text{ნომ}}, n_{\text{ნომ}}, R_{\text{და}} \text{ და } \eta)$ მიხედვით. ამ მიზნით საკმარისია მახასიათებლის ორი წერტილის პოვნა (გამოთვლა). პირველ წერტილად იდგენ იდეალური უქმი სვლის სიჩქარეს (როცა $I_{\text{დ}} = 0$):

$$\omega_0 = \frac{U_{\text{ნომ}}}{c_d}, \quad (2.7)$$

c_d – ძრავას ემ ძალის პროპორციულობის კოეფიციენტს განსაზღვრავენ მისი საპასპორტო მონაცემებით, შემდეგი ფორმულით


$$c_d = \frac{U_{\text{бнд}} - I_{\text{л-бнд}} R_{\text{л}}}{\omega_{\text{бнд}}}.$$
(2.8)

მახასიათებლის მეორე წერტილად იღებენ ძრავას ნომინალური მუშაობის რეჟიმის შესაბამის წერტილს: $I_{\text{л}} = I_{\text{бнд}}$,
 $\omega = \omega_{\text{бнд}}, \omega_{\text{бнд}} = \pi n_{\text{бнд}} / 30$.

თუ (2.8)-ში $R_{\text{л}}$ მოცემული არ არის, მაშინ უნდა ვისარგებლოთ ფორმულით: $R_{\text{л}} = 0.5 R_{\text{бнд}} (1 - \eta)$, სადაც $R_{\text{бнд}} = \frac{U_{\text{бнд}}}{I_{\text{бнд}}}$ და η -ძრავას მ.ქ. კოეფიციენტია.


§2.2. მუდმივი დენის დამოუკიდებელი (პარალელური) აგზნების ძრავას ამუშავების წინაღობების გამოანგარიშება

საშუალო და დიდი სიმძლავრის ძრავას ქსელთან მიერთებისას აუცილებელია მისი დუბის მიმდევრობით დამატებითი წინაღობის ჩართვა ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მე-3 სურათზე.



სურ.3

წინააღმდეგ შემთხვევაში ძრავაში გაივლის დასაშვებზე მეტი სიდიდის დენი, რაც გამოიწვევს მის დაზიანებას. ძრავას ამუშავების პროცესში ამუშავების წინაღობის გამორთვა შესაძლებელია განხორციელდეს საფეხურებად, შესაბამისი სიჩქარედი მახასიათებლები ნაჩვენებია მე-4 სურათზე (შესაბამისი კონტაქტების ჩართვით, იხ. სურ.3-ზე),




სურ.4

ძრავას ამუშავების წინადობის საანგარიშოდ უნდა გამო-
გიყენოთ მისი ბუნებრივი სიჩქარელი მახასიათებელი. თავიდან
უნდა შევარჩიოთ I_1 ამუშავების და I_2 – გადართვის დენის
მნიშვნელობები (სურ.4). როგორც წესი, $I_1 = (2 \div 2,5)I_{ნომ}$ და
 $I_2 = 1,2 \cdot I_{ნომ}$.

ძრავას ქსელთან მიერთებისთანავე მის ღუზაში გაივლის I_1 -ის ტოლი დენი (სურ.4), დაიწყება მისი აჩქარება (ამ დროს ღუზის მიმდევრობით ჩართულია R_{a1} და R_{a2} ამუშავების წინადობის ორივე საფეხურის შესაბამისი წინადობა). როდესაც ძრავას სიჩქარე მიაღწევს b წერტილის შესაბამის მნიშვნელობას, ე.ი. დენი გახდება I_2 -ის ტოლი მოხდება ამუშავების პირველი საფეხურის წინადობის დაშუნტვა I_a – აჩქარების კონტაქტის ჩაეტვით. ეს გამოიწვევს ღუზის დენის I_1 სი-
დიდემდე გაზრდას და ძრავა კვლავ დაიწყებს აჩქარებას. როცა მისი სიჩქარე მიაღწევს σ -წერტილის შესაბამის სიდიდეს, მოხდება ამუშავების წინადობის მეორე საფეხურის დაშუნტვა 2-ააჩქარების კონტაქტის ჩაეტვით. კვლავ გაიზრდება უცირად ღუზის დენი I_2 -დან I_T -დე და ძრავა კვლავ განაგრძობს აჩქარებას ჯერ f -წერტილამდე, ხოლო შემდეგ g წერტილამდე, სადაც ძრავას ამუშავება დასრულდება და მისი მუშაობა იქნება დამუარებული რეჟიმის შესაბამისი.

ამუშავების წინადობა იანგარიშება გრაფიკულად, ფარდო-
ბითი ერთეულებით გამოსახული მექანიკური მახასიათებლების
მეშვეობით (სურ.5)



სურა

ეს მახსინათებლები ანალიზურად შემდეგნაირად გამოისახება:

$$\nu = 1 - \mu \cdot r , \quad (2.9)$$

სადაც $\nu = \frac{\omega}{\omega_0}$ არის ძრავას სიჩქარის ფარდობითი სიდიდე;

$$\mu = \frac{M}{M_{ნომ}} - \text{ფარდობითი მომენტი}; \quad r = \frac{R_{ლყ}}{R_{ნომ}} - \text{ძრავას ფარდობითი წინაღობა}; \quad R_{ნომ} = \frac{U_{ნომ}}{I_{ნომ}} - \text{ძრავას ნომინალური (ფიქტობრივი) მოძრავი}.$$

რიგი) წინაღობა.

$$\text{თუ } \mu = 1, \text{ (როცა } M = M_{ნომ}), \text{ მაშინ } \Delta \nu = r .$$

$al = r_f = 1$. ad, ac, ab შესაბამისად ძრავას დუხის წრედის სრული წინაღობებია ფარდობითი ერთეულებით საფეხურების

შესაბამისად. $bc = R_{\alpha_2} \cdot R_{\beta_2}$ – შესაბამისი, ხოლო $cd = R_{\alpha_1} \cdot R_{\beta_1}$ – შესაბამისი წინადობებია ფარდობითი ერთეულებით. ამრიგად,

$$bc = r_{32} = \frac{R_{32}}{R_{\text{ნო}} \cdot R_{\text{ნო}}} \Rightarrow R_{32} = bc \cdot R_{\text{ნო}};$$

$$cd = r_{31} = \frac{R_{31}}{R_{\text{ნო}} \cdot R_{\text{ნო}}} \Rightarrow R_{31} = cd \cdot R_{\text{ნო}}.$$

ძრავას სრული ამუშავების წინადობა ტოლი იქნება

$$R_{\alpha_1} + R_{\alpha_2} = (bc + cd)R_{\text{ნო}} = bd \cdot R_{\text{ნო}}. \quad (2.10)$$

§2.3. დამოუკიდებელი აგზნების ძრავას სამუხრუჭო რეჟიმები

ძალიან ხშირად საჭიროა მექანიზმების სწრაფად და ზუსტად გაჩერება, რაც ზოგჯერ მექანიზმის მწარმოებლურობისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელია. გაჩერებისას ან მოძრაობის მიმართულების შეცვლისას ძრავა მუშაობს სამუხრუჭო რეჟიმში.

პრაქტიკაში გამოიყენება ძრავას სამი სახის დამუხრუჭება:

ა) გენერატორული $-j\omega$ კლებული კლებული როტორების გაგზავნით; ბ) უკუჩართვის და გ) დინამიკური.

სამივე შემთხვევაში ძრავას მუშაობა უხდება გენერატორულ რეჟიმში. განსხვავებულია მხოლოდ ღუზის ეზ ძალის ორიენტაცია ქსელის ძაბვის მიმართ. რეკუპერატიული (გენერატორული) დამუხრუჭებისას E -სა და U_{J^*} -ს შემხვედრი მიმართულება აქვთ, მაგრამ ვინაიდან $E > U_{J^*}$ ამიტომ I_{φ} დენი იცვლის მიმართულებას, ე.ი. დენი ძრავადან მიეწოდება ქსელში. უკუჩართვის რეჟიმში E და U თანხვდებიან მიმართულებით

და დენი განისაზღვრება მათი ჯამით. დინამიკური დამუხტუჭებისას $U=0$ და $I=-E/(R_{\text{დ}} + R_{\text{დენ}})$. განვიხილოთ ეს რეჟიმები


ცალ-ცალკე და უფრო დაწვრილებით.

ა) გენერატორული დამუხტუჭება

ძრავა გენერატორულ რეჟიმში გადადის მაშინ, როცა დატვირთვის გავლენით ძრავას სიჩქარე გადააჭარბებს ამ უქმის სვლის სიჩქარეს. ამ დროს $E > U$ და ღუზის დენი $I = \frac{U - E}{R_{\text{დ}} < 0}$,

ე.ო. დენი იცვლის მიმართულებას.

პრაქტიკაში ასეთი დამუხტუჭება გამოიყენება მძიმე ტვირთის ω_0 -ზე მეტი სიჩქარით დაშვებისას (სურ.6).



სურ.6


ამ შემთხვევაში ძრავას ჩართავენ დამშვები მიმართულებით სამუშაოდ. ამ დროს ამძრავის სიჩქარე გადააჭარბებს ω_0 -ს, ვინაიდან დერძზე მოქმედებს ძრავასა და ტვირთის თანხვდენილი მომენტები. მას შემდეგ რაც ძრავა გადავა სამუშაოდ გენერა-

ტორულ რეჟიმში, იგი განავითარებს სამუხრუჭო მომენტს, ე.ი. უკვე ძრავას ბრუნვის მომენტი საპირისპირო გახდება დატ- ვირთვის მომენტის მიმართ.

ბ) უკუჩართვით დამუხრუჭება

ასეთ დამუხრუჭებას ადგილი აქვს ორ შემთხვევაში:

- 1) როდესაც ტვირთის აწევაზე მომუშავე ძრავას დუზის წრედში ჩავრთავთ ე.წ. უკუჩართვის დიდ $R_{\text{ფ}}^{\text{წ}}$ წინაღობას (იხ. მე- 7 სურათი).



სურ.7


წინაღობის ჩართვის შემდეგ ძრავა a წერტილიდან სა- მუშაოდ გადავა უფრო დიდი დახრის მქონე მახასიათებელზე b წერტილში. იგი დაიწყებს შენელებას (ვინაიდან შემცირდება დენი დუზის წრედში) და პროცესი დამთავრდება c წერტილში. ამ წერტილში ძრავა ბრუნავს უკუმიმართულებით და მისი დენი განისაზღვრება ფორმულით:

$$I_c = (U + E_c) / (R_{\text{eq}} + R_{\text{sh}}), \quad (2.11)$$

სადაც $I_c = \frac{M_{\text{bq}}}{c_d}$.

2) როდესაც ძრავას ბრუნვისას მის დუზაზე მიყვანილი ძაბვის პოლარობას შევცვლით (სურ.8,ა).

წინ ბრუნვის („V“) შესაბამისი კონტაქტების გახსნისას და „T“(„უკან“) ბრუნვის) კონტაქტების ჩაკეტვისას, რომ არ მოხდეს ძრავას დუზაში დიდი უკუდენის გავლა, დუზაზე ძაბვის პოლარობის შეცვლასთან ერთად მის წრედში უნდა ჩაირთოს



სურ.8

დიდი R_{sh} -ის წინადობა. ძრავა სამუშაოდ გადავა a წერტილიდან b წერტილში. დაიწყება ამძრავის შენელება, c წერტილში ძრავა გაჩერდება. თუ საჭირო არ არის ძრავას ამჟავება უძუმიმართულებით, მაშინ c წერტილის შესაბამის მომენტში ძრავას გამორთავენ ქსელიდან და მის დერძს დაადგენ მექანიკურ მუხრუჭს.

გენერატორული დამუხრუჭებისაგან განსხვავებით, უძუმიმართვის რეჟიმში ძრავა ენერგიას იღებს ქსელიდანაც და მე-

ქანიზმიდანაც. ორივეს ხარჯავს დუბის წრედის წინაღობაზე გამოყოფილი სითბოს სახით:

$$P = U \cdot E + E \cdot I = I^2(R_{\text{ღ}} + R_{\text{ჟ}}) \quad (2.12)$$


უკუჩართვით დამუხსრულებია უზრუნველყოფს მექანიზმის ყველაზე მეტსეულ განერებას. მისი ნაკლია ძრავაში და მისი დუბის წრედში დიდი დანაკარგები. უკუჩართვის წინაღობა განისაზღვრება წერტილის შესაბამისი სიდიდეებით:

$$R_{\text{ჟ}} = \frac{U + c_d \cdot \omega_B}{I_B} - R_{\text{ღ}}. \quad (2.13)$$

I_B – არის დამუხსრულების დასაწყისში ძრავას დასაშვები დენის მნიშვნელობა.

გ) ელექტროდინამიკური დამუხსრულება.

ელექტროდინამიკური დამუხსრულების შემთხვევაში დუბას გამორთავენ ქსელიდან და მიაერთებენ წინაღობაზე, ხოლო აღგზნების გრაფნილს დატოვებენ ქსელში ჩართულს (სურ.9).



სურ.9

ამ შემთხვევაში ძრავა მასში დაგროვილი კინეტიკური ენერგიის ხარჯზე გაჩერებამდე იმუშავებს როგორც გენერა-

ტორი. აღნიშნული ენერგია დაიხარჯება დუზის წრედის წინა-დობაზე გამოყოფილი სითბოს სახით.

დინამიკური დამუხსრუჭებისას დენი დუზაში

$$I = -\frac{E_{\text{სწ}}}{R_{\text{კ}} + R_{\text{დი}}} \quad (2.14)$$


დინამიკური დამუხსრუჭება შეიძლება გამოყენებულ იქნას ტვირთის დაშვების შემთხვევაშიც. პროცესი ამ დროს დამთავრდება c წერტილში. R -დინ-ის სიდიდე განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$R_{\text{დი}} = \frac{c\omega_B}{I_B} - R_{\text{დ}} \quad (1.48)$$

ამ სახის დამუხსრუჭება ხასიათდება ეკონომიკურობით, თუმცა სიჩქარის შემცირებასთან ერთად მცირდება სამუხსრუჭო ეფექტიც (I -დენის შემცირების გამო). პრაქტიკაში დამუხსრუჭების ამ ხერხს იყენებენ არარევერსულ ამძრავებში. სქემა მარტივია, საიმედო და ზუსტი.

§2.4. მუდმივი დენის მიმდევრობითი აგზნების ძრავას მექანიკური მახასიათებლები

ამ ტიპის ძრავას აგზნების გრაგნილი (აგ) ჩართულია დუზის გრაგნილთან მიმდევრობით (სურ.10).



სურ.10

ასეთი ძრავას სიჩქარული მახასიათებლის ფორმულა ასე გამოისახება:

$$\omega = \frac{U}{K_d \Phi} - \frac{IR_{\text{ღწ}}}{K_d \Phi}. \quad (2.15)$$

თუ ჩავთვდით, რომ მანქანის დამაგნიტების მრუდი წრფი- ვია, ე.ი. $\Phi = \alpha \cdot I$, მაშინ ძრავას პრუნვის მომენტი

$$M = K_d \cdot \Phi \cdot I = K_d \cdot \frac{1}{\alpha} \cdot \Phi^2,$$

$$\text{საიდანაც } \Phi = K_0 \sqrt{M}, \text{ სადაც } K_0 = \sqrt{\frac{\alpha}{K_d}}.$$

შევიტანოთ Φ -ისა და M -ის მნიშვნელობები (2.15)-ში მივიღებთ მუდმივი დენის მიმდევრობითი აგზების ძრავას მექანიკური მახასიათებლის ფორმულას:


$$\omega = \frac{A}{\sqrt{M}} - B, \quad (2.16)$$

$$\text{სადაც: } A = U/K_d K_0; \quad B = R_{\text{ღწ}}/K_d^2 K_0^2.$$


ამ ტიპის ძრავებისათვის მექანიკური (ან სიჩქარული) მახასიათებლები პიკერბოლური სახისაა (სურ.11).

მექანიკური მახასიათებლების საანგარიშოდ პრაქტიკაში იყენებენ ე.წ. უნივერსალურ მახასიათებლებს, რომლებიც წარმოდგენილია მე-12 სურათზე, ცვლადები მოცემულია ფარდობითი ერთეულებით $\nu = f_1(i)$ და $\mu = f_2(i)$, სადაც $\nu = \frac{\omega}{\omega_{\text{ნონ}}}$,

$$i = \frac{I}{I_{\text{ნონ}}}, \quad \mu = \frac{M}{M_{\text{ნონ}}}.$$



სურ.11



სურ.12

უნივერსალური მახასიათებლები, როგორც წესი, ერთი და იმავე სერიის ძრავებისათვის საერთოა.


§2.5. მიმდევრობითი აგზნების ძრავას ამუშავების წინაღობების გამოანგარიშება

თავდაპირველად აგქის ძრავას ბუნებრივ სიჩქარულ მახასიათებელს – $\omega = f(I)$, რაც ხორციელდება უნივერსალური მახასიათებლების და მოცემული კონკრეტული ძრავას საპასპორტო მონაცემების გამოყენებით.

შევარჩევთ ამჟღავების I_1 და გადართვის I_2 დენების მნიშვნელობებს (იხ. სურ.13). აბსცისთა დერმზე მარცხნივ გადავ-

$$\text{ზომავთ } R_1 = \frac{U}{I_1} \quad \text{და} \quad R_2 = \frac{U}{I_2} \quad \text{სიდიდეებს. ვინაიდან ძრავას}$$

ამჟღავება იწყება R_1 – სრული წინაღობით და I_1 დენით, მას შემდეგ რაც ძრავას დენი გახდება I_2 -ის ტოლი გამოირთვება ამჟღავების წინაღობის პირველი საფეხურის შესაბამისი cd -წინაღობა.



სურ.13

ძრავას დენი მყის გაიზრდება I_1 –ის ტოლ სიდიდემდე, ძრავა კვლავ განაგრძობს აჩქარებას. როდესაც დენი მიაღწევს I_2 –მდე, დაშუნტდება მეორე საფეხურის შესაბამისი წინაღობა (ef). ძრავა სამჟღაოდ გადავა ბუნებრივ მახასიათებელზე და გააგრძელებს აჩქარებას დატვირთვის შესაბამის სიჩქარემდე. cd და ef – მონაკვეთების მიხედვით (R –დერმზე მიღებული მას-



შტაბის გათვალისწინებით) ვიპოვით ძრავას ამუშავების წინა-დობათა მნიშვნელობებს.

§2.6. მიმდევრობითი აგზების ძრავას მახასიათებლები სამუხრუჭო რეჟიმებში


ასეთი ძრავასათვის გენერატორული სამუხრუჭო რეჟიმი არ განიხილება (ვინაიდან არ გააჩნია უქმი სვლის სიჩქარე). მის-თვის განიხილავენ მხოლოდ უკუჩართვის და დინამიკურ და-მუხრუჭებებს.

ა) უკუჩართვით დამუხრუჭება.

ამ შემთხვევაში, ისე როგორც დამოუკიდებელი აგზების ძრავასათვის, უკუჩართვით დამუხრუჭება შესაძლებელია ორ-გვარად: 1)ძრავულ რეჟიმში მუშაობისას დუზის მიმდევრობით დიდი დამატებითი წინაღობის ჩართვით (სურ.14); 2) დუზაზე მიყვანილი ძაბვის პოლარობის შეცვლით და აგზების გრაგ-ნილში დენის უცვლელი მიმართულების შენარჩუნებით (სურ.15).




სურ.14




სურ.15

ბ) დინამიკური დამუხტუჭება

ამ შემთხვევაში ღუზას გამორთავენ ქსელიდან და მიაერთებენ სამუხტუჭო წინადობასთან, ხოლო აგზების გრაფიკს დატოვებენ ქსელთან ჩართულს დამატებითი წინადობით (სურ.16).




ა)



სურ.16


ზემოთ აღნიშნული დინამიკური დამუხტრუქების გარდა, რომელშიც აღგზნების გრაფიკის აქვს დამოუკიდებელი კვება, შესაძლებელია დამუხტრუქება განვახორციელოთ თვითადგზნებითაც. სამუხტრუქო მომენტის მისაღებად ძრავას გამორთავენ ქსელიდან და დუზის მომქერებს შეცვლილი პოლარობით ჩართავენ აღგზნების გრაფიკთან (დენის მიმართულება უნდა დარჩეს უცვლელი) დამატებითი წინაღობით (სურ.17).



სურ.17


§2.7. შერეული აგზნების ძრავას მექანიკური მახასიათებლები

ასეთი ტიპის ძრავებში გვაქვს ორი აღგზნების გრაფიკი მიმდევრობითი (მაგ) და პარალელური (პაგ), სურ.18.



ნახ.18

მანქანის მაგნიტური ნაკადის 70% იქმნება პაგ-ით, ხოლო 30% მაგ-ით. ისევე როგორც მიმდევრობითი აგზების ძრავასათვის, შერეული აგზების ძრავას ბუნებრივი მექანიკური ან სიჩქარეული მახასიათებლები (სურ.19,ა) აიგება უნივერსალური მახასიათებლების $\nu = f(\mu)$ და $\iota = f(\mu)$ მეშვეობით (სურ. 19,ბ).



სურ.19

ამ ტიპის ძრავებს აქვთ სამივე სამუხრუჭო რეჟიმი, როგორც სხვა დანარჩენ ძრავებს.

ა) გენერატორული დამუხრუჭება


ასეთი დამუხრუჭების დროს ძრავას მიმდევრობითი აგზების გრაფიკი (მაგ) – დაიშუნტება და გენერატორულ რეჟიმში მანქანა მუშაობს მხოლოდ პარალელური აგზებით (პაგ).

ბ) უკუჩართვით დამუხრუჭება. ეს რეჟიმი ხორციელდება სხვა მუდმივი დენის ძრავების ანალოგიურად.

გ) ელექტროდინამიკური დამუხრუჭება. ასეთი ძრავას დინამიკურ დამუხრუჭებას იხილავენ მხოლოდ პაგ-ით, მაგ-ს ამუნტებენ. თვითაღგზნებით დამუხრუჭება ნაკლებეფექტურია და არ იყენებენ.

§2.8. ცვლადი დენის სამფაზიანი ასინქრონული ძრავას მექანიკური მახსასიათებლები

ასინქრონული ძრავები მუდმივი დენის ძრავებთან შედარებით კონსტრუქციულად მარტივია, მსუბუქია და იაფი, მუშაობაში საიმედო. ასინქრონული ძრავას ელექტრული შენაცვლების სქემას აქვს მე-20 სურათზე წარმოდგენილი სახე. მას ახასიათებენ სქემაზე გვაქვს შემდეგი სიდიდეები: ფაზური ძაბვა (U_μ); დამაგნიტების წრედის, სტატორისა და როტორის დენები (I_μ , I_1 და I_2); დამაგნიტების კონტურის ინდუქციური და აქტიური წინაღობები (X_μ და R_μ); როტორის სტატორზე დაყვანილი რეაქტიული და აქტიური წინაღობები (X'_2 და R'_2);



სურ.20

სქემაზე აგრეთვე ნაჩვენებია ე.წ. სრიალის სიდიდე, რომელიც ტოლია:

$$s = \frac{\omega_0 - \omega}{\omega_0}, \quad (2.17)$$

სადაც ω_0 არის მანქანის სინქრონული სიჩქარე. ის თავის მხრივ ტოლია:

$$\omega_0 = 2\pi f_1/P, \quad (2.18)$$

სადაც f_1 არის ქსელის ძაბვის სიხშირე; P –მანქანის წყვილპოლუსთა რიცხვი.

მანამ სანამ შევუდებით ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის ფორმულის გამოყვანას მოკლედ აღვწეროთ მისი ქსელთან ჩართვის და ამჟამების პროცესი. მიაწვდიან რა ძაბვას ძრავას სტატორის სამფაზა გრაგნილებს (შეერთებულს ვარსკლავად ან სამკუთხედად) მათში გაივლის დენი, რაც გამოიწვევს მანქანის საპარო ღრეჭოში მბრუნვი მაგნიტური გელის წარმოქმნას. ეს ველი ძრავას უძრავი როტორის გრაგნილებში დააინდუქცირებს ე.მ. ძალებს, რომლებსაც მოჰყება მათში დენების გავლა. მდენებისა და მანქანაში არსებული მაგნიტური გელის ურთიერთქმედება გამოიწვევს როტორის დაბრუნებას. აქაც ისევვ, როგორც მუდმივი დენის ძრავას შემთხვევაში, საშუალო და დიდი სიმძლავრეების ძრავების როტორში მიმდევრობით აუცილებელია ე.წ. ამჟამების წინაღობების ჩართვა. ეს გამორიცხავს მანქანაში ამჟამების დასაწყისში დიდი სიდიდის (მ.წ.-ის) დენის გავლას და მის დაზიანებას (დაწვას).

ახლა გამოვიყვანოთ ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის ფორმულა. ამისათვის გამოვიყენოთ მანქანის ელექტრომაგნიტური და მექანიკური სიმძლავრეების ბალანსის გამოსახულება

$$P_{\vartheta^\theta} = P_{\vartheta\vartheta} + \Delta P_{\vartheta\vartheta}, \quad (2.19)$$

სადაც $\Delta P_{\vartheta\vartheta}$ არის როტორის ელექტრული დანაკარგი.

(2.19) ასევე შეიძლება ჩაიწეროს:

$$M\omega_0 = M\omega + \Delta P_{\text{ин}} \quad (2.20)$$

აქედან $\Delta P_{\text{ин}} = M(\omega_0 - \omega)$. თავის მხრივ $\Delta P_{\text{ин}} = 3I_2'^2 R_2'$,
მაშინ $3I_2'^2 R_2' = M(\omega_0 - \omega)$. აქედან

$$M = \frac{3I_2'^2 R_2'}{\omega_0 S} \quad (2.21)$$

ძრავას Γ -ს მაგვარი ელექტრული შენაცვლების სქემის მიხედვით როტორის დენი

$$I_2' = \frac{U_{\text{ин}}}{\sqrt{\left(R_1 + \frac{R_2'}{S}\right)^2 + X_K^2}}, \quad (2.22)$$

სადაც $X_K = X_1 + X_2'$ არის მარტანის მოკლე ჩართვის რეაქტიული წინაღობა. შევიტანოთ (2.22)-ე გამოსახულება (2.21)-ში, მივიღეთ

$$M = \frac{3U_{\text{ин}}^2 R_2'}{\omega_0 S \left[\left(R_1 + R_2'/S \right)^2 + X_K^2 \right]} \quad (2.23)$$

(2.23)-ის ანალიზი ცხადჰოფს, რომ ასინქრონული ძრავას მექანიკურ მახასიათებელს $M = f(s)$ აქვს მაქსიმუმი, რის გა-

მოც $\frac{dM}{ds} = 0$ განტოლებიდან ვიპოვთ მარტანის პრიტიპულ

სრიალს

$$s_{\pm} = \pm \frac{R_2'}{\sqrt{R_2'^2 + X_K^2}}. \quad (2.24)$$


(2.24)-ის შეტანით (2.23)-ზე გიპოვით ძრავას კრიტიკულ ბრუნვის მომენტს:

$$M_{\delta} = \frac{3U_3^2}{2\omega_0 \left(R_1 \pm \sqrt{R_1^2 + X_K^2} \right)}. \quad (2.25)$$

ნიშანი „+“ ძრავას რეჟიმისაა, „-“ გენერატორის. (2.23)-ის გაყოფით (2.25)-ზე და R_1 -ის უგულებელყოფით მივიღებთ ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის გამარტივებულ ფორმულას

$$M = \frac{2M_{\delta}}{\frac{s}{s_{\delta}} + \frac{s_{\delta}}{s}}. \quad (2.26)$$

(2.26)-ის შესაბამისი მექანიკური მახასიათებლები მოცემულია სურათზე როტორში ჩართული დამატებითი წინადობების შესაბამისად და მის გარეშე.



სურ.21

s_{β} სიდიდე ძრავას საპასპორტო მონაცემებში მოცემული არ არის. მას ვიპოვით შემდეგნაირად: ჯერ ვიპოვოთ

$M_{\text{ნომ}} = P_{\text{ნომ}} / \omega_{\text{ნომ}}$ და $s_{\text{ნომ}} = (\omega_0 - \omega_{\text{ნომ}}) / \omega_0$, შემდეგ (2.26)-ის გამოყენებით ვიპოვით

$$s_{\beta} = s_{\text{ნომ}} \left(\lambda + \sqrt{\lambda^2 - 1} \right), \quad (2.27)$$

სადაც $\lambda = \frac{M_{\frac{\beta}{\delta}}}{M_{\text{ნომ}}}$ ძრავას გადატენოთვის კოეფიციენტია. როცა

$s < s_{\beta}$, ძრავა მუშაობს მექანიკური მახასიათებლის წრფივ ნა-

წილზე, რისთვისაც (2.26)-დან სამართლიანია $M = 2M_{\beta} \frac{s}{s_{\beta}}$.

როცა $s > s_{\beta}$, ძრავა მუშაობს მექანიკური მახასიათებლის არამ-დგრად (არაწრფივ) უბანზე, რომლისთვისაც სამართლიანია

$$M = 2M_{\beta} \frac{s_{\beta}}{s}.$$

§2.9. სამფაზიანი ასინქრონული ელექტროძრავას ამუშავების წინაღობების გამოანგარიშება

სამფაზიანი ასინქრონული ძრავას ამუშავების წინაღობების ანგარიში დასაშვები მიახლოებით ხდება მუდმივი დენის პარა-ლელური აგზების ძრავას ანალოგიურად, ვინაიდან ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის მუშა ნაწილიც წრფივია.

საშუალო ან დიდი სიმძლავრის ასინქრონული ძრავას ქსელთან მიერთება, როგორც წესი, ხდება როტორში დამატებითი ე.წ. ამჟღავების წინაღობის ჩართვით. მის საანგარიშოდ, ჯერ უნდა ავაგოთ ძრავას ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ძრავას საპასპორტო მონაცემები:

$P_{\text{ნო}} , U_{\text{ნო}} \# I_1 , n_{\text{ნო}} \# \varepsilon_{2K}$ და I_2 ძრავას ტრანსფორმაციის კოეფიციენტს განვსაზღვრავთ შემდეგი ფორმულით:

$$k = \frac{E_1}{E_{2K}} \approx \frac{0,95 \cdot U_{\text{ვ}}}{E_{2K}}.$$

მისი მეშვეობით ვიპოვთ სიდიდეებს:

$$R'_2 = k \cdot R_2; \quad R_2 = \frac{s_{\text{ნო}} E_{2K}}{\sqrt{3} I_{\text{ნო}}} ; \quad X'_2 = X_2 \cdot k^2; \quad M_K = \lambda M_{\text{ნო}};$$

$$s_K = s_{\text{ნო}} \left(\lambda \pm \sqrt{\lambda^2 - 1} \right).$$

გვეცოდინება რა M_K და s_K (2-26) ფორმულით ავაგებთ ძრავას $M = f(s)$ ბუნებრივ მექანიკურ მახასიათებელს. იმ შემთხვევაში, თუ ვანგარიშობთ ძრავას საფეხურებიან ამჟღავების მახასიათებლებს უნდა გამოვიყენოთ ძრავას ამჟღავების მომენტის სიდიდე $M_1 = 0,7M_{\text{ვ}}$ და გადართვის მომენტით $M_2 = 1,2M_{\text{ს}}$.

§2.10. სამფაზიანი ასინქრონული ძრავას სამუხრუჭო რეჟიმები


ა) გენერატორული დამუხრუჭება

კომპლექსურ სახეში ასინქრონული ძრავას როტორში გამავალი დენი:

$$I_2' = \frac{E_2'}{\frac{R_2'}{s} + jX_2'} = \frac{E_2's}{R_2' + jX_2's} = \frac{E_2'R_2's}{R_2'^2 + (X_2's)^2} - j \frac{E_2'X_2's^2}{R_2'^2 + (X_2's)^2}. \quad (2.28)$$

გენერატორულ რეჟიმში $s < 0$, ამიტომ I_2' დენის მხოლოდ აქტიური (პირველი) მდგრენელი იცვლის ნიშანს, ე.ი. მიმართულებას. რაც შეეხება მეორე (რეაქტიულ) მდგრენელს მისი მიმართულება რჩება უცვლელი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გენერატორულ რეჟიმში მანქანა ქსელიდან კვლავ ითხოვს მაგნიტური გელის შესაქმნელი დენის ნაწილს.


გენერატორული რეჟიმი გამოიყენება ამზე კრანებში მძიმე ტვირთის დაშვებისას, აგრეთვე ორსიჩქარიან ასინქრონულ ძრავებში, როცა სიჩქარის სარეგულირებლად გამოიყენება მანქანის წყვილ-პოლუსთა რიცხვის შეცვლა (სურ. 22, ა,ბ).



სურ. 22

ბ) უკუჩართვით დამუხრუჭება

ასეთი დამუხრუჭება მიიღება ძრავას როტორის წრედში დიდი ე.წ. რენ-ის წინაღობის ჩართვით (სურ.23)




δ)

δ)

სურ.23

ან სტატორის ორი ფაზის გადანაცვლებით და როტორში R_d -ის დამატებით (სურ.24).



δ)


δ)

სურ.24

3) მლაპტროდინამიკური დამუხხუჭება

ასეთი დამუხხუჭების მისაღებად ძრავას სტატორს გამორთავენ ცვლადი დენის ქსელიდან და ჩართავენ მუდმივი დენის


ქსელში, როტორში შეიძლება ჩაირთოს დამატებითი $R_{\text{დან}}$ – წინაღობები (სურ.25,ა,ბ).



სურ.25

დინამიკური დამუხრუჭების პონტაქტების (კდ) ჩართული მდგომარეობისას (კბ-გახსნილია) სტატორში გადის მუდმივი დენი, რომელიც ქმნის უძრავ მაგნიტურ ველს. როტორი ინერციით აგრძელებს რა ბრუნვას მის გრაგნილებში ინდუქცირდება ემ ძალები და გადის დენი. როტორის დენისა და უძრავი მაგნიტური ველის ურთიერთქმედებით მანქანის დერძხე მოქმედებს სამუხრუჭო მომენტი. მანქანაში დაგროვილი კინეტიკური ენერგია სითბოს სახით გამოიყოფა როტორის გრაგნილებში და $R_{\text{დან}}$ წინაღობებში.


ელექტროდინამიკური დამუხრუჭება სამფაზიანი ძრავასათვის შეიძლება განხორციელდეს ე.წ. ოვითაგზნებითაც სტატორის გადართვით კონდენსატორებზე (სურ.26, ა,ბ).



სურ.26

§2.11. სინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები

სინქრონული ძრავას ელექტრული ჩართვის სქემა მოცემულია 27,ა სურათზე. მის სტატორს, როგორც წესი, ჩართავენ ცვლად დენის სამფაზა ქსელში, ხოლო აგზნების გრაგნილს, რომელიც განთავსებულია როტორზე, მიაერთებენ მუდმივი დენის ძაბვასთან.



სურ.27

სინქრონულ ძრავას ქსელის ძაბვის მუდმივი სიხშირისას აქვს მუდმივი კუთხური სიჩქარე, მაშინაც კი როცა მის დერძზე დატვირთვა არ აღემატება ნომინალურის ორმაგ მნიშვნელობას. თუ $M_{b\beta} > M_{\text{და}},$ მაშინ ძრავა ამოვარდება სინქრონიზმიდან. ასეთი ძრავები გამოიყენება დიდი სიმძლავრის მექანიზმებისათვის (კომპრესორები და ტუბოები), რომლებსაც არ ესაჭიროებათ სიჩქარის რეგულირება (სურ. 27,ბ). სინქრონული ძრავას დადებითი თვისებაა ის, რომ შეუძლია იმუშაოს სიმძლავრის მაღალი კოეფიციენტით ($\cos \varphi$) და დაეხმაროს ქსელს რეაქტიული სიმძლავრით.

სინქრონულ ძრავას როტორში გარდა აგზნების (ე.წ.მუშა) გრაგნილისა (რომელიც იკვებება მუდმივი დენით) აქვს მეორე – ე.წ. ამუშავების გრაგნილი (ციფვის ბორბალი). ის სამფაზიანია და მოკლედაა ჩართული. ამ გრაგნილის საშუალებით ხორციელდება ძრავას ამუშავება ასინქრონული წესით ქვესინქრონულ $0,95 \omega_0$ სიჩქარემდე. მანქანის სინქრონიზმში შეტაცვა ხდება მას შემდეგ, რაც ძრავა მუშაობს ქვესინქრონული სიჩქარით და როტორის მუშა (აგზნების) გრაგნილში მიაწვდიან მუდმივ დენს.

სინქრონული ძრავას ამუშავების გრაგნილები (ციფვის ბორბალი) გათვლილია ხანმოკლე (20 -30წმ) მუშაობაზე. თუ სინქრონიზმში შეტაცვა გაჭიანურდა ამუშავების გრაგნილი შეიძლება გადახურდეს და დაიწვას. ამიტომ სინქრონული ძრავას მართვის სქემაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი დაცვა. სინქრონული ძრავას მბრუნვი მომენტი

$$M = \frac{3UE}{\omega_0 X_C} \cdot \sin \theta, \quad (2.28)$$

სადაც U არის ქსელის ძაბვა; E - სტატორის გრაგნილში ინდუქციონებელი ემ ძალა; X_c -სტატორის რეაქტიული წინადობა; θ -კუთხე სტატორის ემ ძალასა და ქსელის ძაბვას შორის.

ასინქრონულ ძრავთან შედარებით სინქრონული ძრავა ქსელის ძაბვის რყევის მიმართ ნაკლებად მგრძნობიარეა. ეს კარგად ჩანს (2.28) ფორმულიდან.

სინქრონული ძრავას დასამუხრუჭებლად პრაქტიკაში გამოიყენება დინამიკური დამუხრუჭებელი. ამ დროს სტატორს გამორთავენ ქსელიდან და მიაერთებენ წინადობებთან, ხოლო აღზნების გრაგნილს მიაწვდიან მუდმივ დენს.

III თავი. ელექტრომრავების სიჩქარის რეგულირება

§3.1. ზოგადი განმარტებები ელექტრომრავების სიჩქარის რეგულირების შესახებ

ბევრი მექანიზმისა და ტექნოლოგიური მანქანის ელექტრო-
ამძრავებს მოეთხოვება სიჩქარის რეგულირება საწარმოო (ტექ-
ნოლოგიური) პროცესების რაციონალურად წარმართვისათვის.
მაგ., სახარატო ჩარხებულებების დასამუშავებელი დეტალის დიამეტრის
შემცირებასთან ერთად ჭრის სიჩქარის მუდმივად შესანარჩუ-
ნებლად არეგულირებენ შპინდელის ამძრავის კუთხეურ სიჩქა-
რეს, კერძოდ, სიჩქარეს ზრდიან დეტალის დიამეტრის შემცი-
რებასთან ერთად. ასეთი ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.
რეგულირებადი ელექტროამძრავები გამოიყენება მეტალურგი-
ულ და სხვა სამრეწველო დანადგარებზე (საგლინ დგანებზე,
ქაღალდის დამამზადებელ მანქანებზე, ამწესატრანსპორტო მე-
ქანიზმებზე და ა.შ.).

მანქანების მუშა ლილვების პრუნვის სიჩქარის (მოძრაობის)
რეგულირება ძირითადად შესაძლებელია ორი გზით: ძრავას
კუთხეური სიჩქარის ცვლით ან მექანიკური გადამცემების პა-
რამეტრის (გადაცემის რიცხვის) შეცვლით. მეორე ვარიანტი
დიდი ხანია ცნობილია. მისი ტექნიკური გადაწყვეტა დაკავში-
რებულია კონსტრუქციულ გართულებებთან (გამოიყენება სიჩ-
ქარეთა კოლოფი, მექანიკური ვარიანტი და ა.შ.). გარდა ამისა,
ამ შემთხვევაში, როგორც წესი, არ ხერხდება სიჩქარის მდოვ-
რედ რეგულირება. ამის გამო თანამედროვე ელექტროამძრა-

ვებში სიჩქარის რეგულირება ძირითადად ხორციელდება თვით ელექტროძრავას სიჩქარის რეგულირებით.

სხვადასხვა ელექტრული ძრავას მექანიკური მახასიათებლების ანალიზმა დაგვანახა, რომ მათი სიჩქარის ცვლა შეიძლება მისი ელექტრული წრედების პარამეტრების (\vec{V} ინადობების) ან მკვებავი ძაბვის (მუდმივი დენის ძრავებისათვის), ან ერთდროულად ძაბვისა და სიხშირის ცვლილებით (ცვლადი დენის ასინქრონული ძრავებისათვის). ძრავას სიჩქარის სარეგულირებლად საჭიროა ოპერატორმა ზემოქმედება მოახდინოს ამძრავის სისტემის პარამეტრებზე (მიაწოდოს მართვის სიგნალი, შეცვალოს \vec{V} ინადობის სიდიდე, ეს შეცვლა ავტომატიზებულ სისტემაში შეიძლება მოხდეს ავტომატურად). მაშინ როცა ძრავას სიჩქარე იცვლება რაიმე შეშფოთებით (მაგ., ძრავას დერძხე წინადობის მომენტის შეცვლით), სიჩქარის ასეთი ცვლილება არ შეიძლება ჩავთვალოთ სასურველ მოვლენად (კერძოდ, სიჩქარის რეგულირებად). პირიქით, ამ დროს ძრავას სიჩქარე გადაიხრება \vec{V} ინასწარ მოცემული (საჭირო) სიდიდიდან და მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მისი თავდაპირველ მნიშვნელობაზე დაბრუნება.

ელექტროამძრავის სიჩქარის რეგულირების ძირითადი მაჩვენებელია რეგულირების დიაპაზონი. ეს არის ამძრავის სარეგულირებელი სიჩქარის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობის ფარდობა მინიმალურთან $D = \omega_{\text{მ}} / \omega_{\text{მ}}$.

სშირად საჭირო ხდება რეგულირების ზონის (შესაბამისად დიაპაზონის) გაზრდა. მაგრამ ეს გაზრდა არ შეიძლება იყოს უსაზღვრო. მისი შეზღუდვა ზევიდან ძირითადად ხდება ღუზის ან როტორის მექანიკური სიმტკიცით. მუდმივი დენის ძრავები-

სათვის სიჩქარის ზედა ზღვარი (მაქს) ზოგჯერ შეიზღუდება კოლექტორის საკომუტაციო უნარიანობით, რადგანაც კუთხური სიჩქარის ზრდისას იზრდება ღუზის გრაგნილის საკომუტაციო სექციაში რეაქტიული ემ ძალა. კუთხური სიჩქარის ქვედა ზღვარი, როგორც წესი, შეიზღუდება მოცემული სიჩქარის საჭირო სიზუსტით მუდმივად შენარჩუნების $M_{\text{ს}}$ -ის შესაძლო ფარგლებში ცვლისას) პირობით. სისტემის სიზუსტის შეფასება, როგორც წესი, ხდება კ.წ. სტატიზმით, რომელიც შემდეგნაირად განისაზღვრება

$$s = \frac{\omega_0 - \omega_{\text{დამ}}}{\omega_0} \cdot 100\% = \frac{\Delta \omega_{\text{დამ}}}{\omega_0} 100\%, \quad (3.1)$$

სადაც ω_0 და $\omega_{\text{დამ}}$ არის ამძრავის სასურველი (დაგალების შესაბამისი) და რეალური (დატვირთვის შესაბამისი) სიჩქარეების დამყარებული მნიშვნელობები.

თანამედროვე ავტომატიზებული ელექტროამძრავების სტატიზმი 1%-ს არ აღემატება, ხოლო ამძრავებისათვის უკუკავშირების გარეშე იგი შეადგენს რამდენიმე ათგულ პროცენტს.

რეგულირების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია აგრეთვე რეგულირების სიმდოვრე, რომელიც წარმოადგენს ორ მეზობელ სიჩქარეთა თანაფარდობას $\varphi = \frac{\omega_i}{\omega_{i-1}}$, სადაც $\omega_i > \omega_{i-1}$.

რეგულირების სიმდორე მით უკეთესია, როცა $\varphi \rightarrow 1$.

რეგულირების ერთი საფეხურიდან მეორეზე მდოვრე გადასვლა ზოგჯერ განსაზღვრავს გამომუშავებული პროდუქციის ხარისხს. ელექტროამძრავების პრაქტიკაში სიჩქარის რეგული-

რების ყველაზე მცირე სიმდოვრე გააჩნიათ ორსიჩქარიან მოკლედშერთულობორიან ასინქრონულ ძრავებს. მნიშვნელოვანი სიმდოვრე შეიძლება მივიღოთ მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზნების ძრავების შემთხვევაში, როცა მათი მართვა ხდება ღუზაზე მიყვანილი ძაბვის ანაზნების დენის ცვლით.

რეგულირებადი ამძრავის ერთ-ერთი მაჩვენებლია აგრეთვე რეგულირების ეკონომიურობა, რომელიც ხასიათდება ამძრავის დანადგარის და ექსპლუატაციის დანახარჯებით. ეკონომიურად გამართებულია ისეთი ელექტროამძრავი, რომელიც უზრუნველყოფს მუშა მექანიზმის მწარმოებლობის მაქსიმუმს პროდუქციის მაღალი ხარისხით და შედარებით მაღა გამოისყიდის საწყის კაპიტალურ დანახარჯებს. რეგულირებადი ელექტროამძრავის ეკონომიურობის შეფასებისას ყურადღება ექცევა აგრეთვე ექსპლოატაციისას მის საიმედო მუშაობას.

ეკონომიურობის შეფასებისას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რეგულირების პროცესში ენერგიის დანაკარგების სიდიდეს. სიმძლავრის კარგვები განსაზღვრავს დანადგარის მქ კოეფი-

$$\text{ციენტს } \eta = \frac{P_2}{P_2 + \Delta P}, \text{ სადაც } \Delta P - \text{ამძრავის დანაკრგია; } P_2 -$$

ძრავას დერმზე მექანიკური სიმძლავრე.

რეგულირებადი ელექტროამძრავის რაციონალური მუშაობისათვის საჭიროა ვიცოდეთ დატვირთვის მომენტის დამოკიდებულება კუთხურ სიჩქარეზე. მთელი რიგი საწარმოო მექანიზმი საჭიროებს სიჩქარის რეგულირებას, როცა $M_{\text{სტ}} = \text{const}$. ასეთი მექანიზმებია: ამჴე-კრანების აწევის მექანიზმები, ზოგიერთი საგლინი დგანების ცალკეული გალები (უჯრედები), ქაღალდისმკეთებელი მანქანების სექციები და ა.შ. მეორე

მხრივ, არსებობენ ისეთი მექანიზმებიც, რომელთაც სიჩქარის რეგულირება მოეთხოვებათ მუდმივი სიმძლავრის პირობებში - $P_{\text{სტ}} = \text{const}$. ასეთ მექანიზმებს მიეკუთვნება სახარატო ჩარხი. ჩარხები დეტალის დამუშავებისას საჭიროა შევინარჩუნოთ ჭრის (წრფივი) მუდმივი სიჩქარე ($P = F \cdot V = \text{const}$).

განვიხილოთ მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ელექტრული ძრავას ბაზაზე, თუ როგორ ხდება $M_{\text{სტ}} = \text{const}$ ან $P_{\text{სტ}} = \text{const}$ პირობების შესაბამისად სიჩქარის რეგულირება. ასეთ ძრავას აქვს სიჩქარის რეგულირების ორი ზონა. I ზონა შეესაბამება რეგულირებას მუდმივი მომენტით, ხოლო II ზონა – რეგულირებას მუდმივი სიმძლავრით.

მართლაც, თუ ძრავას სიჩქარის რეგულირება ხდება დუზის წრედში წინადობის ჩართვით ან დუზაზე მიყვანილი ძაბვის ცვლით, როცა $\Phi = \text{const}$, მაშინ ძრავას დატვირთვა იქნება მუდმივი მომენტით

$$M = K_{\text{ძ}} \Phi I_{\text{ნომ}} = \text{const}. \quad (3.2)$$

ძრავას დერმზე სიმძლავრე I-ზონაში იცვლება წრფივად, რადგანაც

$$P_I = M \cdot \omega. \quad (3.3)$$

II-ზონა შეესაბამება რეგულირებას მუდმივი სიმძლავრით, როცა იგი ხორციელდება ძრავას მაგნიტური ნაკადის ცვლილებით (შემცირებით).


$$\Phi = \frac{A}{\omega}; \quad M = K_{\text{ძ}} \Phi I_{\text{ნომ}} \equiv \frac{A'}{\omega}; \quad (3.4)$$

$$P_H = M \cdot \omega = \frac{A}{\omega} \cdot \omega = A = \text{const} . \quad (3.5)$$

**§3.2. მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ძრავას
სიჩქარის რეგულირების ხერხები**

ა) ღუზის წრედში დამატებითი წინაღობის ცვლილება ეს მეოდიდი უზრუნველყოფს ელექტროამძრავის მუშაობას მუდმივი სტატიკური მომენტით. ძრავას ღუზის წრედში დამატებითი წინაღობების ჩართვით და მისი სიდიდის რეგულირებით შესაძლებელია ვარეგულიროთ სიჩქარე.

$R_{\text{დაგ-}}\text{o}$ გაზრდით უფრო მეტად დაიხრება ძრავას მექანიკური მახასიათებელი. სიჩქარის რეგულირების დიაპაზონი ამ შემთხვევაში $D = 3:1$. შესაბამისი მახასიათებლები წარმოდგენილია 28-ე სურათზე.



სურ. 28,ა

ეს მეორდი არ ითვლება სიჩქარის რეგულირების ეპონო-
მიურ საშუალებად. სიჩქარის სარეგულირო წინაღობები ამჟა-
ვების წინაღობებისაგან განსხვავდება იმით, რომ ისინი ძრავას
წრედში გათვალისწინებულია ხანგრძლივად ჩართვისათვის,
რის გამოც დიდია დანაკარგები (ელექტრული).

ბ) აგზნების ნაკადის ცვლილება

ამ ხერხით ძრავას სიჩქარის რეგულირება ხდება მცირე
დენების (აგზნების) წრედიდან, ამიტომ იგი მარტივია და
ეპონომიური. ამ მეორდს იყენებენ იმისათვის, რომ ძრავას
სიჩქარე გახადონ ნომინალურზე მეტი. მექანიზმებში, რომელ-
თაც მუშაობა უხდებათ მუდმივი სტატიკური სიმძლავრით
($P_{\text{სტ}} = \text{const}$). აგზნების შემცირებით ვითარდება, ხოლო ძრა-
ვას მოკლე ჩართვის დენი უცვლელი რჩება $I_{\text{აა.}} = U/R_{\text{ლ}}$. ამ
რეჟიმისათვის დამახასიათებელია:

$$M_{\text{ა.ჩ.}} = K_3 \Phi_5 I_{\text{ნომ}} > M'_{\text{ა.ჩ.}} = K'_3 \Phi' I_{\text{ნომ}} > M''_{\text{ა.ჩ.}} = K''_3 \Phi'' I_{\text{ნომ}}.$$

Φ-ს შემცირებასთან ერთად პიპერტოლურად უნდა შევამცი-
როთ ძრავას დატვირთვის მომენტი ($M_{\text{სტ}}$). ასეთი ხერხით რეგუ-
ლირების დიაპაზონი $D=2\div 1$. აგზნების ნაკადის შემცირებით
სიჩქარის რეგულირება ზემოდან შეზღუდულია ძრავას საკო-
მუტაციო პირობის გაუარესებით კერძოდ, სიჩქარის გაზრდას
მოჰყვება კოლექტორებზე ნაპერწკლიანობის მომატება. გარდა
ამისა, ძრავას სიჩქარის მატება შეზღუდულია მექანიკური სიმ-
ტკიცის თვალსაზრისითაც.

გ) ღუზაზე მიყვანილი ძაბვის ცვლა

სიჩქარის რეგულირების ეს მეორდი ყველაზე უფრო გავრ-
ცელებულია და ხორციელდება გ-ძ სისტემის (ე.წ. ლეონარდის)

სქემით, სადაც გ არის გარდამქმნელი (ცვლადი დენისა მუდმივ დენად). ის შეიძლება იყოს ან მუდმივი დენის გენერატორი, რომელიც ბრუნვით მოძრაობას ასრულებს ცვლადი დენის ქსელთან ჩართული ასინქრონული ელექტროძრავათი, ან თანამედროვე ელექტროამძრავებში ტირისტორული გამმართველით (სურ.29). სიჩქარის რეგულირების ასეთი ხერხი უზრუნველყოფს სიჩქარის რეგულირების დიაპაზონს $D_t=10 : 1$.

გ-ძ სისტემით მომუშავე ძრავას სიჩქარული მახასიათებლის ფორმულის მისაღებად ვწერთ შემდეგ საწყის განტოლებებს:

$$U_{\delta} = E_{\delta} - I_{\varrho} R_{\varrho\delta}; \quad (3.6)$$

$$U_{\vartheta} = E_{\vartheta} + I_{\varrho} R_{\varrho\vartheta}, \quad (3.7)$$

სადაც $E_{\delta} = K_{\varrho\delta} \Phi_{\delta} \omega_{\delta}$ არის გენერატორის ემ ძალა;

$$E_{\vartheta} = K_{\vartheta\vartheta} \Phi_{\vartheta} \omega_{\vartheta} - \text{ძრავას } \text{ემ } \text{ძალა};$$

(3.6) და (3.7) განტოლებებით მივიღებთ

$$E_{\delta} - I_{\varrho} R_{\varrho\delta} = E_{\vartheta} + I_{\varrho} R_{\varrho\vartheta}, \quad (3.8)$$

საიდანაც:


$$E_{\vartheta} = E_{\delta} - I_{\varrho} R_{\varrho\vartheta}, \quad (3.9)$$

სადაც $R_{\varrho\vartheta} = R_{\varrho\delta} + R_{\varrho\vartheta}$ არის ძრავას დუზის წრედის სრული აქტიური წინაღობა.

(3.9)-დან ადგილად მივიღებთ მუდმივი დენის ძრავას სიჩქარული მახასიათებლის ფორმულას გ-ძ-ის სისტემისათვის

$$\omega_{\vartheta} = \frac{E_{\delta}}{K_{\vartheta\vartheta} \Phi_{\vartheta}} - \frac{I_{\varrho} R_{\varrho\vartheta}}{K_{\vartheta\vartheta} \Phi_{\vartheta}}. \quad (3.10)$$

(3.10)-ის შესაბამისი მახასიათებლები მოცემულია სურ.28, ბ-ზე.




სურ.28,ბ

გ-ძ-ის სისტემას ძირითადად იყენებენ მუდმივი სტატიკური მომენტის მქონე ($M_{\text{სტ}} = \text{const}$) მექანიზმების სიჩქარის რეგულირებისათვის იყენებენ ძრავას აგზნების ნაკადის შესუსტებას, ამასთან მექანიზმი უნდა მუშაობდეს $P_{\text{სტ}} = \text{const}$ რეჟიმში. გ-ძ-ის სისტემის მქ კოეფიციენტი შეადგენს 0,65-ს.

ძრავას სიჩქარის რეგულირების დიაპაზონის გაზრდის მიზნით პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ელექტროამძრავის ავტომატური მართვის სისტემები ერთი ან რამდენიმე უკავებ-

შირით, რომლებიც უზრუნველყოფენ სიჩქარის მუდმივად შენარჩუნებას მაღალი სიზუსტით.

ბოლო ათეული წლების პერიოდში მექანიზმებისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ სიჩქარის დიდ დიაპაზონში ცვლა, იყენებენ მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ძრავას, რომლის ღუზა იკვებება ტირისტორული გამმართველიდან (სურ.29).



სურ.29

ტირისტორული ელექტროამძრავის დადებითი თვისებებია: მაღალი სწრაფქმედება, მუშაობაში საიმედოობა და მაღალი გროვიციენტი შეადგენს 0,93-ს.

ტირისტორული გამმართველის გამოსავალზე მიღებული ძაბა

$$U_d = U_{\text{აქ}} \frac{m}{\pi} \sin \frac{\pi}{m} \cos \alpha, \quad (3.11)$$

სადაც $U_{\text{აქ}}$ არის გამმართველის მკვებავი ქსელის ხაზური ძაბვის მაქსიმუმი; m – გამმართვის სქემის კოეფიციენტი, სამ-

ფაზიანი ორტაქტა სქემისათვის $m=6$, ხოლო სამფაზიანი ერთ-ტაქტა სქემისათვის $m=3$; α -ტირისტორის მართვის ელექტროდ-ზე მიწოდებული იმპულსების ფაზური ძვრის კუთხე, იგი იცვლება 15-დან 90 გრადუსამდე და ახასიათებს ტირისტორების გახსნილი მდგომარეობის ხანგრძლივობას.

გ-ძ სისტემის ანალოგიურად ტირისტორული ამძრავის სიჩქარული მახასიათებლის ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$\omega = \frac{E_{\text{ტბ}}}{C_d} - \frac{I_{\text{ღ}} R_{\text{ღ}}}{C_d}, \quad (3.12)$$

სადაც $E_{\text{ტბ}}$ არის ტირისტორული გამმართველის ემ ძალა; $R_{\text{ღ}}$ – ძრავის ღუზის წრედის წინაღობაა, რომელიც შეიცავს საკუთრივ ძრავის ღუზის გრაგნილის წინაღობას და ტირისტორული გარდამქმნელის ძალური ნაწილის წინაღობას. ტირისტორული ელექტროამძრავის სიჩქარული და მექანიკური მახასიათებლები გ-ძ სისტემის ანალოგიურია.


§3.3. სამფაზიანი ასინქრონული ძრავას სიჩქარის რეგულირების ხერხები

ცნობილია ასინქრონული ელექტროამძრავის სიჩქარის რეგულირების სამი ძირითადი ხერხი:

ა) როტორში აქტიური წინაღობების დამატება

ეს მეთოდი გამოიყენება მექანიზმებისათვის, რომელთა სტატიკური მომენტი $M_{\text{სტ}} = \text{const}$. რეგულირების დიაპაზონი $D=3:1$; რეგულირება ხორციელდება ნომინალური სიჩქარის ქვემოთ.

შესაბამისი სქემა და მახასიათებლები წარმოდგენილია 30-ე სურათზე.



სურ.30

ბ) პოლუსთა რიცხვის შეცვლა


ცნობილია, რომ სამფაზიანი ასინქრონული ძრავას სინქრონული სიჩქარე

$$\omega_0 = 2\pi f_1 / P, \quad (3.13)$$


სადაც f_1 არის მკვებავი ქსელის სიხშირე; P – მანქანის წყვილ-პოლუსთა რიცხვი.

ორსიჩქარიან ასინქრონულ ძრავაში ცალკეული ფაზების გრაფიკები შედგება ორი ერთნარი ნაწილისაგან, რომელთა-გან ერთში ცვლიან დენის მიმართულებას აღნიშნული ნაწილების მიმდევრობითიდან პარალელურზე გადართვათა მეშვეობით. ასეთი გადართვა გამოიწვევს პოლუსთა რიცხვის შემცირებას ორჯერ და შესაბამისად მანქანის სინქრონული სიჩქარის ორჯერ გაზრდას. სტატორის გრაფიკების გადართვის სქემები ნახვენებია ქვემოთ: 1)გრაფიკების ერთმაგი ვარსკლავური შეერთებიდან ორმაგ ვარსკლავურზე და 2)სამკუთხა


შეერთებიდან ორმაგ ვარსკლავურზე. შესაბამისი სქემები და
მახასიათებლები წარმოდგენილია 31-ე სურათზე.



ა)



ბ)



სურ. 31


პირველი სახის გადართვა გამოიყენება მექანიზმებისათვის $M_{\text{ც}} = \text{const}$. მეორე სახის გადართვა მიზანშეწონილია მექანიზმებისათვის, რომლებიც მუშაობენ $P_{\text{ც}} = \text{const}$ რეჟიმში.

პრაქტიკაში ორსიჩქარიანი ძრავების გარდა გამოიყენება 3-და 4-სიჩქარიანი ასინქრონული ძრავებიც. ყველა შესრულებულია მოკლედ ჩართული როტორითიმისათვის რომ საჭირო არ გახდეს გადართვები როტორშიც. ითვლება, რომ ეს მეოდინ ეკონომიურია. რეგულირების დიაპაზონი აღწევს $D=6:1$.


გ) ძაბვის ცვლა

თანამედროვე ასინქრონულ ელექტროამძრავში სიჩქარის რეგულირებისათვის ზოგჯერ იყენებენ ტირისტორულ გარდამქმნელიან სისტემას. შესაბამისი სქემა და მახასიათებლები მოყვანილია 32-ე სურათზე. იმის გამო, რომ ძაბვის შემცირება იწვევს ძრავას კრიტიკული მომენტის კვადრატული ფუნქციით

შემცირებას ასეთი ამძრავის რეგულირების დიაპაზონი ძალზე
შეზრულებია $\propto 3:1$.



ა)



ბ)

სურ.32

დ) სიხშირის ცვლა

ვინაიდან ასინქრონული ძრავას სინქრონული სიჩქარის $\omega_0 = 2\pi f / P$ ცვლილება შესაძლებელია f სიხშირის ცვლით, ამიტომ თანამედროვე პრაქტიკაში ფართოდ ნერგავენ სიხშირისგარდამქმნელებიან ასინქრონულ ელექტროამძრავებს. სიხშირის გარდამქმნელი ძირითადად შედგება ორი უჯრედისაგან—ნახევარგამტარულელემენტებიანი გამმართველისაგან და შემდგომ სასურველი სიდიდის ცვლადი დენის ძაბვისა და სიხშირის მისაღებად ინვერტორისაგან.


მაგრამ f სიხშირესთან ერთად აუცილებელია ძაბვის ცვლილებაც ($U/f = \text{const}$), რათა უზრუნველყოფილ იქნას ძრავას მაგნიტური ნაკადის მუდმივად შენარჩუნება. ძრავას სტატორის ებალი $E_1 = c_d \Phi f$, $U \approx E_1$, ამიტომ $U = c_d \Phi f$.

ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ: მექანიზმებისათვის, რომლებიც მუშაობენ მუდმივი სტატიკური მომენტით

($M_{\text{вн}} = \text{const}$), რეკომენდებულია ასინქრონული ელექტროამძრავის მართვა შემდეგი კანონით

$$\frac{U}{f} = \text{const.} \quad (3.14)$$

(3.14)-ის შესაბამისი მახასიათებლები მოცემულია 33-ე სურათზე.




სურ.33

მექანიზმებისათვის, რომლებიც მუშაობენ მუდმივი სტატიკური სიმძლავრით ($P_{\text{вн}} = \text{const}$), რეკომენდებულია ასინქრონული ელექტროამძრავის მართვა შემდეგი კანონით

$$\frac{U}{\sqrt{f}} = \text{const} . \quad (3.15)$$

(3.15)-ის შესაბამისი მახასიათებლები მოცემულია 34-ე სურათზე.



ცნობილია, რომ ვენტილატორული მექანიზმებისათვის $M_{\text{დ}} \equiv f^2$, რის გამოც რეკომენდებულია ასინქრონული ელექტროამძრავის მართვა

$$\frac{U}{f^2} = \text{const} \quad (3.16)$$

კანონით. შესაბამისი მექანიკური მახასიათებლები მოცემულია 35-ე სურათზე.

IV თავი. გარდამავალი პროცესში ელექტრომარავები

§4.1. ზოგადი მიმოხილვა

ელექტროძრავაში გარდამავალი პროცესი მიმდინარეობს მისი მუშაობის ერთი დამყარებული რეჟიმიდან მეორე დამყარებულ რეჟიმში გადასვლის პერიოდში. ის შეიძლება გამოიწვიოს ძრავას დერმზე დატვირთვის ან მკვებავი ძაბვის მომენტალურმა შეცვლამ. გარდამავალ პროცესში იცვლება ძრავას კუთხეური სიჩქარე, ღუზის დენი, ბრუნვის მომენტი და მათთან დაკავშირებული სხვა ცვლადები. გარდამავალი პროცესების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ამძრავის ელემენტების მექანიკური და ელექტრული გადატვირთვების თვალსაზრისით. ამძრავის გარდამავალ პროცესს ადგილი აქვს აგრეთვე ამუშავების, დამუხრუჭების და სიჩქარეთა რეგულირებისას.

იმ შემთხვევაში, როცა ითვალისწინებენ ძრავას ღუზის წრედის გრაგნილების ინდუქციურობას (შესაბამისი ელექტრომაგნიტური მოვლენით) ამძრავის მექანიკურ ინერციულობასთან ერთად, გარდამავალ პროცესს განიხილავენ როგორც ელექტრომექანიკურს. იმ შემთხვევაში, როცა ძრავას ღუზის ინდუქციურობას უგულებელყოფენ, მაშინ ამძრავის გარდამავალ პროცესს განიხილავენ როგორც მექანიკურს.

§4.2. მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზნების ძრავას ამუშავების გარდამავალი პროცესი

მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზნების ძრავას გარდა-
მავალი რეჟიმების საწყის განტოლებებად ითვლება ამძრავის
მოძრაობის ძირითადი განტოლება

$$M - M_{\text{ნ}} = J \frac{d\omega}{dt} \quad (4.1)$$

და მაბვების წონასწორობის განტოლება ღუზის წრედისათვის

$$U = E + IR_{\text{ღ}}. \quad (4.2)$$

დავუშვათ, რომ ძრავას აგზნების ნაკადი უცვლელია
($\Phi = \text{const}$), მაშინ $c_d = K_K \Phi = \text{const}$ და $M = c_d I$ და

$$E = c_d \omega, \quad M_{\text{ნ}} = c_d I_{\text{ნ}}.$$

(4.2)-დან ადგილად ვწერთ, რომ ძრავას ღუზის დენი

$$I = \frac{J}{c_d} \frac{d\omega}{dt} + I_{\text{ნ}}. \quad (4.3)$$

შევიტანოთ (4.3) გამოსახულება (4.2)-ში, მივიღებთ

$$U = c_d \omega + \frac{JR_{\text{ღ}}}{c_d^2} \cdot \frac{d\omega}{dt} + I_{\text{ნ}} R_{\text{ღ}}. \quad (4.4)$$

გავყოთ (4.4)-ე განტოლება c_d -ზე და შემოვიტანოთ აღნი-

შვნები: $T_{\text{ვ}} = \frac{JR_{\text{ღ}}}{c_d^2}$ – ამძრავის ელექტრომექანიკური დროის

$$\text{მუდმივა; } \Delta\omega_{\text{სტ}} = \frac{I_{\text{სტ}} R_{\text{ლ.}}}{c_d} - \text{ძრავას სიჩქარის სტატიკური}$$

გარდნა. ამრიგად (4.4)-დან გვექნება:

$$T_{\beta^3} \frac{d\omega}{dt} + \omega = \omega_0 - \Delta\omega_{\text{სტ}} = \omega_{\text{სტ}}. \quad (4.5)$$

ძრავას ღუზის დენის დიფერენციალური განტოლების მისა-
დებად გავაწარმოოთ (4.2) და მასში (4.3)-დან შეტანოთ $\frac{d\omega}{dt}$ -ს

მნიშვნელობა

$$\frac{c_d^2 (I - I_{\text{სტ}})}{J} + R_{\text{ლ.}} \frac{dI}{dt} = 0, \quad (4.6)$$

საიდანაც გამარტივებით გვექნება

$$T_{\beta^3} \frac{dI}{dt} + I = I_{\text{სტ}}. \quad (4.7)$$

(4.4)-ე და (4.5)-ე დიფერენციალური განტოლებების მახა-
სიათებელი განტოლებაა

$$T_{\beta^3} P + 1 = 0, \quad (4.8)$$

რომლის ფქსვია

$$P_1 = -\frac{1}{T_{\beta^3}}. \quad (4.9)$$

დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის წესის თანახმად
(4.5) და (4.7)-ის სრული ამონასსნები იქნება:

$$\omega = \omega_{\text{სტ}} + A \cdot e^{-t/T_{\beta^3}}; \quad (4.10)$$

$$I = I_{\text{სტ}} + B \cdot e^{-t/T_{\beta^3}}. \quad (4.11)$$

ინტეგრების მუდმივების საპოვნელად დავუშვათ, რომ $t=0$ მომენტში $\omega = \omega_{\text{საწყ}} \text{ და } I = I_{\text{საწყ}}$ (4.10) და (4.11)-ის მიხედვით კვერთ:

$$A = \omega_{\text{საწყ}} - \omega_{\text{სტ}}; \quad (4.12)$$


$$B = I_{\text{საწყ}} - I_{\text{სტ}}. \quad (4.13)$$

შევიტანოთ (4.12) და (4.13) შესაბამისად (4.10)-ში და (4.11)-ში, გვექნება

$$\omega = \omega_{\text{სტ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta^2}} \right) + \omega_{\text{საწყ}} e^{-t/T_{\beta^2}}, \quad (4.14)$$

$$I = I_{\text{სტ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta^2}} \right) + I_{\text{საწყ}} e^{-t/T_{\beta^2}}. \quad (4.15)$$

(4.14)-ითა და (4.15)-ით აიგება ძრავას გარდამავალი რეჟიმის სიჩქარის და დენის მრუდები ამძრავის გაქანებისას (სურ.36), როცა $\omega_{\text{საწყ}} = 0$ და $I_{\text{საწყ}} = 0$.




სურ.36

ძრავას გარდამავალი რეჟიმის ხანგრძლივობა თეორიულად ∞ -ის ტოლია, პრაქტიკულად კი იგი შეგიძლია დამთავრებულ და ჩავთვალოთ $t_{\text{გარ.}} \approx 3 \cdot T_{\beta^2}$ დროში.

§4.3. მუდმივი დენის ძრავას საფეხურებრივი ამუშავების გარდამავალი პროცესები

განვიხილოთ მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზების ძრავას მექანიკური გარდამავალი პროცესი ორსაფეხურიანი ამუშავების შესაბამისი მახასიათებლების მიხედვით (სურ. 37).



სურ.37

გამოვიყენოთ წინა პარაგრაფში მიღებული (4.14) და (4.15) გამოსახულებები

$$\omega_i = \omega_{\text{დაბყ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta i}} \right) + \omega_{\text{სატ}} e^{-t/T_{\beta i}}; \quad (4.16)$$

$$I_i = I_{\text{ბტ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta i}} \right) + I_1 e^{-t/T_{\beta i}}, \quad (4.17)$$

$$\text{სადაც} \quad T_{\beta i} = \frac{JR_{\text{დტ}}}{C_d^2} \quad \text{არის} \quad \text{ამძრავის} \quad \text{ელექტრომექანიკური}$$

დროის მუდმივა მისი მუშაობისას მექანიკური მახასიათებლის i-ური საფეხურის შესაბამისად; I_i – ძრავას მაქსიმალური დენი ამუშავებისას; $R_{\text{დტ}} = \text{დუნის } \dot{\varphi} \text{ წინაღობა } i\text{-ური } \dot{\varphi} \text{ მექანიკური } \dot{\varphi} \text{ მახასიათებლის } \dot{\varphi} \text{ შესაბამისი. იმისათვის } \dot{\varphi} \text{ რომ } \dot{\varphi} \text{ ვიპოვოთ } \dot{\varphi} \text{ ძრავას } \dot{\varphi} \text{ რეოსტატული } \dot{\varphi} \text{ ამუშავებისას } \dot{\varphi} \text{ ცალკეულ } \dot{\varphi} \text{ საფეხურებზე$


გაქანების პროცესის ხანგრძლივობა დენის ცვლილებისას I_T დან I_2 -მდე უნდა ამოვხსნათ (4.16)-ე განტოლება, საიდანაც გვექნება:

$$\frac{I_i - I_{\text{ნ}}}{I_1 - I_{\text{ნ}}} = e^{-t/T_{\beta i}}, \quad (4.18)$$

აქედან

$$t_i = T_{\beta \text{ნ}} \ln \frac{I_1 - I_{\text{ნ}}}{I_2 - I_{\text{ნ}}}. \quad (4.19)$$

(4.19)-ში I_i შეცვლილია I_2 -ით, რადგან გადართვის დენი ყველა საფეხურზე ერთი და იგივეა. ამძრავის ამუშავების შესაბამისი სიჩქარის და დენის გარდამავალი პროცესის მრუდები აიგება (4.15) და (4.16) გამოსახულებებით (სურ.38).



სურ.38

(4.15) და (4.16)-ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამუშავების პირველი საფეხურის ხანგრძლივობა მეტია მეორე საფეხურისაზე და ა.შ., ე.ი. $t_1 > t_2 > t_3$, რაც აიხსნება ელექტრომექა-


ნიკური დროის მუდმივების შემდეგი თანაფარდობით:

$$T_{\vartheta 1} > T_{\vartheta 2} > T_{\vartheta \text{მაქ.}}, \quad (4.18)$$

სადაც $T_{\vartheta \text{მაქ.}}$ არის ამძრავის ელექტრომექანიკური დროის მუდმივა ბუნებრივ მახსინათებელზე მუშაობისას.

§4.4. მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზნების ძრავას გარდამავალი პროცესები სამუხრუჭო რეჟიმებში

როგორც ვიცით, ძრავების სწრაფი გაჩერებისათვის იყენებენ უკუჩართვის დამუხრუჭებას. ამ დროს ცვლიან ძაბვის პოლარობას ძრავას დუზაზე, ხოლო დუზის მიმდევრობით ჩართავენ უკუჩართვის დამატებით წინაღობას. ამუშავებისგან განსხვავებით დამუხრუჭება უმრავლეს შემთხვევაში ხდება ერთსაფეხურად, სურ.39,ა.



სურ.39

კინაიდან $E = c_d \cdot \omega$ ($\text{როცა } \Phi_d = \text{const}$) სამუხრაჭებო რეჟიმზე გადართვის მომენტში ძრავას ემ ძალა არ იცვლება. დამუხრაჭების დასაწყისში ძრავას ემ ძალა

$$E_{\text{საწყ}} = U - I_{\text{სტ}} R_{\text{ლ}} = c_d \omega_{\text{საწყ}}. \quad (4.19)$$

ძრავას სიჩქარის და ბრუნვის მომენტის გარდამავალი პროცესის მრუდები აიგება შემდეგი ფორმულებით:

$$\omega = -\omega_{\text{დაბ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta^3}}\right) + \omega_{\text{საწყ}} e^{-t/T_{\beta^3}}; \quad (4.20)$$

$$M = M_{\text{სტ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta^3}}\right) - M_{\text{საწყ}} e^{-t/T_{\beta^3}}. \quad (4.21)$$


სადაც $\omega_{\text{დაბ}}$ არის ძრავას სიჩქარე, რომელიც მას აქვს უძუნართვის რეჟიმის მექანიკური მახასიათებლის დატვირთვის მომენტან ($M_{\text{სტ}}$ -თან) გადაკვეთის წერტილში.

(4.20) და (4.21) ფორმულების შესაბამისი მრუდები მოყვანილია 39,ბ სურათზე. დამუხრაჭების სრული ხანგრძლივობა ამ შემთხვევაში გამოითვლება ფორმულით:

$$t_{\text{მუხ.}} = T_{\beta^3} \ln \frac{M_1 + M_{\text{სტ}}}{M_2 + M_{\text{სტ}}}, \quad (4.22)$$

რომელშიც ჩანს, რომ ძრავას და მის დერძზე წინაღობის სტატიკური მომენტების მიმართულებები თანხვდენილია. როცა ძრავას სიჩქარე გახდება ნულის ტოლი იგი უნდა გამოირთოს ქსელიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ძრავას რევერსი.

ახლა განვიხილოთ დინამიკური დამუხრაჭების გარდამავალი პროცესი. შესაბამისი მექანიკური მახასიათებლები მოყვანილია 40,ა სურათზე.



სურ.40

ამ შემთხვევაში გარდამავალი პროცესის საანგარიშო ფორმულებია:


$$\omega = -\omega_{\text{დაბ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta}} \right) + \omega_{\text{საწყ}} e^{-t/T_{\beta}}; \quad (4.22)$$

$$M = M_{\text{სტ}} \left(1 - e^{-t/T_{\beta}} \right) - M_{\text{საწყ}} e^{-t/T_{\beta}}, \quad (4.23)$$

სადაც $\omega_{\text{დაბ}}$ არის ძრავას სიჩქარე მექანიკური მახასიათებლის იმ წერტილში, სადაც აღგილი აქვს დატვირთვის მომენტის $M_{\text{სტ}}$ -ის გადაკვეთას დინამიკურ სამუხრუჭო მახასიათებელთან (იხ. სურ.40, ბ – ზე IV კვადრატში).

§4.5. მუდმივი დენის მიმდევრობითი აგზნების ძრავას გარდამავალი პროცესები საფეხურებრივი ამუშავებისას

გინაიდან განსახილველი ძრავას მექანიკური მახასიათებლები არაწრფივია (სურ.41) გარდამავალი პროცესის საანგარიშოდ იყენებენ გრაფოანალიზურ მეთოდს.



სურ.41

ამძრავის მოძრაობის განტოლებას წარმოადგენენ სასრული ნაზრდებით, საიდანაც ვიპოვით ხანგრძლივობას

$$\Delta t = \frac{J}{M_{\text{დღ}} \cdot \Delta \omega} . \quad (4.24)$$

თუ, ამ ფორმულაში თანმიმდევრობით შევიტანო $\Delta \omega$ -სა და $M_{\text{დღ}} = (M_d - M_{u\delta})$ -ს მნიშვნელობებს ადვილად ვიპოვით სიჩქარეთა ნაზრდების შესაბამის დროის შეალებებს და ბოლოს, სრული გარდამავალი პროცესის ხანგრძლივობას.

გამოვიანგარიშოთ პირველი სიჩქარის ნაზრდი

$$\Delta \omega_1 = \omega_1 - 0.$$

დრო, რომელიც საჭიროა ძრავას გასაქანებლად ω_1 სიჩქარემდე


$$\Delta t_1 = \frac{J}{M_{\text{ძალ}_1} - M_{u\delta}} \cdot \Delta \omega_1, \quad \text{სადაც } M_{\text{ძალ}_1} = \frac{M_{\text{აქ}} + M_{\text{ძ}_1}}{2}.$$

შემდეგ გადავდივართ მეორე უბანზე, სადაც სიჩქარის ნაზღდი $\Delta\omega_2 = \omega_2 - \omega_1$.

დრო, რომელიც საჭიროა ძრავას გასაქანებლად ω_1 სიჩქარიდან ω_2 სიჩქარემდე

$$\Delta t_2 = \frac{I}{M_{\text{ძაბ2}} - M_{\text{ნტ}}} \cdot \Delta\omega_2, \quad M_{\text{ძაბ2}} = \frac{M_{\text{ძ1}} + M_{\text{ძ2}}}{2}.$$


ანალოგიური გამოანგარიშება უნდა ჩატარდეს ყველა დანარჩენ უბანზე და საბოლოოდ ავაგებოთ გარდამავალი პროცესის მრუდებს ძრავას სიჩქარისა და ბრუნვის მომენტისათვის (სურ.42).



სურ.42

§4.6. მიმდევრობითი აგზნების ძრავას გარდამავალი პროცესები უკუჩართვით დამუხსრუჭების რეჟიმში

მიმდევრობითი აგზნების ძრავას გარდამავალი რეჟიმის მრუდებს ვიანგარიშებთ უკუჩართვის შესაბამისი მექანიკური მახასიათებლის a და b წერტილების (სურ.43) მიხედვით,




სურ. 43

მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზნების ძრავას უკუჩართვის გარდამავალი რეჟიმის ანალოგიურად.

§4.7. სამფაზიანი ასინქრონული ძრავას გარდამავალი რეჟიმები

ასინქრონული ძრავას ამუშავების და უკუჩართვის დამუხსრუჭების რეჟიმების მექანიკური გარდამავალი პროცესების მრუდები იანგარიშება მუდმივი დენის დამოუკიდებელი აგზნების ძრავას ანალოგიურად.

რაც შეეხება ასინქრონული ძრავას დინამიკური დამუხრუჭების გარდამავალი რეჟიმის შესაბამის მრუდებს ისინი იანგარიშება შემდეგნაირად:



სურ.44

მექანიკური მახასიათებლების მიხედვით სამუხრუჭო რეჟიმში (სურ.44) მაქსიმალური მომენტი შეირჩევა პირობით

$$M_{\text{მაქ}} < M_K, \quad (4.25)$$

ხოლო მაქსიმალური სრიალი

$$S_{\text{მაქ}} \ll S_K. \quad (4.26)$$

მაქსიმალურ სრიალს განვსაზღვრავთ ფორმულით

$$S_{\text{მაქ}} = \frac{R'_2}{X_\mu + X'_2}, \quad (4.27)$$

$$\text{სადაც } X_\mu = E'_2 / I_\mu; \quad E'_2 = 0,95 U_{\text{ფნობ}}.$$

მაქსიმალურ მომენტს განვსაზღვრავთ ფორმულით

$$M_{\text{მაქ}} = \frac{3I^2 X_\mu^2}{2\omega_0(X_\mu + X'_2)}, \quad (4.28)$$


სადაც $I_{\text{აქ}} = (2 \div 4)I_\mu$. დინამიკური დამუხრუჭებისას მუდმივი დენის საანგარიშო სიდიდე ტოლია

$$I_{\text{აქდ}} = \sqrt{\frac{3}{2}} I_{\text{აქ}}. \quad (4.29)$$


დინამიკური დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლის საანგარიშო ფორმულა შემდეგნაირად გამოისახება:

$$M = \frac{2M_{\text{აქ}}}{\frac{S}{S_{\text{აქ}}} + \frac{S_{\text{აქ}}}{S}}. \quad (4.30)$$

ასინქრონული ძრავას დინამიკური დამუხრუჭების გარდამავალი პროცესის მრუდების (სიჩქარისა და ბრუნვის მომენტის) ასაგებად უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი მექანიკური მახასიათებლების მონაცემები (სურ.45).



ა)



ბ)

სურ.45


საკუთრივ გარდამავალი პროცესის მრუდების გასაანგარიშებლად უნდა გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულები:

$$\omega = -\omega_{\text{асим}} \left(1 - e^{-t/T_{\delta^0}} \right) + \omega_{\text{без\delta}} e^{-t/T_{\delta^0}}; \quad (4.31)$$

$$M = M_{\text{б\delta}} \left(1 - e^{-t/T_{\delta^0}} \right) - M_{\text{без\delta}} e^{-t/T_{\delta^0}}, \quad (4.32)$$

სადაც $T_{\delta^0} = J \frac{\omega_{\text{без\delta}}}{M_{\text{без\delta}}}.$

ასინქრონული ძრავას სიჩქარისა და დენის გარდამაგალი პროცესის მრუდები დინამიკური დამუხხებისას წარმოდგენილია 46-ე სურათზე.



სურ.46

ამ რეჟიმისათვის როტორის ფაზებში დამატებითი აქტიური წინაღობის სიდიდე გამოითვლება ფორმულით:

$$R_{\text{асим}} = \left(\frac{s_{\text{без\delta}}}{s_{\delta^0}} - 1 \right) R_2. \quad (4.33)$$

Л и т е р а т у р а

- [1] **Борцов Ю.А., Соколовский Г.Г.** –Автоматизированный электропривод с упругими связями // С-Пб, Энергоатомиздат, 1992.
- [2] **Leonhard W.** -Control of electric drive // Springer-Verlag, Berlin, 2002.
- [3] **Дочвири Дж. Н.** -Динамика упругого электромеханического привода с фильтром Калмана-Бьюси // СП-Б, ж., „Изв. ЛЭТИ”, 2001, №1, с.с33-40
- [4] **J. Dochviri** -Dynamics of thyristor electric drive with digital control // J. „Electrical Engineering”, ISSN 1068-3712, Allerton Press, New-York., USA, 2002, v. 73(11), pp. 13-21
- [5] **J. Dochviri** -Kalman-Frobenius dynamic optimization of a thyristor drive with an elastic component // J. „Electrical Engineering”, ISSN 1068-3712, Allerton Press, New-York., USA, 2004, v. 75(5), pp. 7-17
- [6] **Дочвири Дж. Н.** -Оптимизация динамики тиристорного электропривода с упругим звеном по критериям Калмана-Фробениуса // ж. „Электричество” РАН, М., 2005, №1, с. 26-31
- [7] **Дочвири Дж. Н. и др.** -Динамика системы управления тиристорного электропривода с регулированием возбуждения электродвигателя // ж. «Технічна Електродинаміка» Нац. АНУ, Київ 2005, №6, с.30-35
- [8] **Дочвири Дж. Н.** -Оптимизация переходных процессов многофазных тиристорных электроприводов с упругими связями прессовых механизмов непрерывных технологических машин //ж. „Электричество” РАН, М., 2006, №2, с. 34-42

- [9] **Дочвири Дж. Н. и др.** -Динамика частотно-регулируемого асинхронного электропривода при дискретном управлении //ж. „Технічна Електродинаміка”, Нац. АНУ, Київ, 2007, №1, с. 40-47
- [10] **ჯ. დოჭვირი-ელექტრომძრავების ანალოგური და ციფრული მართვა** // თბ., „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2007
- [11] J. Dochviri - Optimization of Control Processes of Digital Electrical Drive Systems // „Latvian Journal Physics and Technical Sciences”, 2010, N2, pp. 16-25
- [12] **Чиликин М. Г.** – Общий курс электропривода // Москва, „Энергия”, 1971
- [13] **Чиликин М. Г. и др.** - Основы автоматизированного электропривода // Москва, „Энергия”, 1974
- [14] **Дочвири Дж. Н., Бежанишвили Дж. Г., Хачапуридзе О.С.** -Динамика двухдвигательных тиристорных электроприводов прессов бумагоделательных машин // Труды III межд. конф. по „Автоматизированному Электроприводу”, Нижний-Новгород (Россия), 2001, 194 с.
- [15] **ჯ. დოჭვირი, ჯ. ბეჟანიშვილი, თ. ხაჭაპურიძე -ქაღალდის დამაზადებელი მანქანების მართვა** // თბილისი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2010, 80 გვ.

Jumber Dochviri, Oleg Khachapuridze

Fundamentals of Automatized Electrical Drives,

volume I,

Lecture Notes

